



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს ქართულ -ამერიკული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
6.12.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
6.02.2023

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა	5
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	26
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	33
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	38
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	51

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206169304
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო თოთიბაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო ბაზაძე, შპს ევროპული სკოლის დირექტორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ლეკიშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიკო გვრიტიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ინგლისური ფილოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	English Philology
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი Bachelor of English Philology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ენის დაუფლება ინგლისური ფილოლოგია 0231.1.2
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული ენა
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული #775, 11.12.2012
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის	-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	
---	--

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

შპს. ქართულ ამერიკულ უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის მიერ განხორციელებული ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ დაიწყო ფუნქციონირება 2012 წელს, როცა მას პირველად მიენიჭა აკრედიტაცია 11 იანვრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს #775 გადაწყვეტილებით.

მას შემდეგ, საკანონმდებლო ცვლილებების საპასუხოდ პროგრამაში განხორციელდა მსხვილი ცვლილებები, რომლებიც შეეხო პროგრამის თითქმის ყველა მიმართულებას. კერძოდ, 1) მოდიფიცირდა პროგრამის სტრუქტურის სასწავლო კომპონენტის მიმართულება უცხო ენის ფლობის ოთხი პრაქტიკულ უნარ-ჩვევის (კითხვა, მოსმენა, წერა და საუბარი) და სამი ენობრივი სისტემის (მორფოლოგიურ-სინტაქსური, ლექსიკურ-სემანტიკური, ფონეტიკურ-ფონოლოგიური) მეტად გაძლიერების მიზნით. პროგრამას სავალდებულო საგნების ბლოკს დაემატა კონკრეტული პრაქტიკული სახის კურსები, მათ შორის B1, C1+ 1; C1-2, ინგლისური ენის ფონეტიკა და სხვ. პროგრამას ასევე დაემატა კონკრეტული სავალდებულო საგნები - ჯგუფური კვლევითი პროექტი და საბაკალავრო ნაშრომი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, ხოლო, რაც შეეხება პრაქტიკას, პროგრამაში ინტეგრირდა სასწავლო პრაქტიკა დამოუკიდებელ სასწავლო კურსად. პროგრამის ლიტერატურის შესწავლაზე ორიენტირებულ ნაწილში, გადაჯგუფდა კონკრეტული საგნები და გართიანდა ოთხ, „ე.წ. „დიადი წიგნების“ ჩარჩოში („დიადი წიგნები: დაფუძვნების იდეა და დამფუძვნებლები“, „დიადი წიგნები: დრამა სხვადასხვა პერპექტივიდან“, „დიადი წიგნები: ამბოხი ღმერთების წინააღმდეგ“, „...დიადი წიგნები: პოლიტიკური რეჟიმები“). ავტონომიურობა-პასუხისმგებლობის ხელშეწყობის მიზნით კი პროგრამას დაემატა კურსები „ზოგადი ფსიქოლოგია“, „ეთიკა“ და, „საქართველო და გარესამყარო“/. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, პროგრამის 240 კრედიტიდან 12 განისაზღვრა თავისუფალ კრედიტად, რაც სტუდენტს შეუძლია დააგროვოს სხვადასხვა მიმართულებით. 2) ჩამოყალიბდა მისანიჭებელი კვალიფიკაცია სწავლის სფეროების განახლებული კლასიფიკატორის მიხედვით და სწავლის შედეგები- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად. 3) დაიხვეწა და გამდიდრდა სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მეყტად უზრუნველსაყოფად და სხვ. (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 5).

დღესდღეობით, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე ინგლისური კომპონენტებით, მოიცავს ძირითადი - ინგლისური ფილოლოგიის სფეროს შესაბამის სასწავლო კურსებსა და თავისუფალ კომპონენტს,

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

რომლებიც შეთავაზებულია 8 აკადემიურ სემესტრში, 4 წლის განმავლობაში. სტუდენტი ჯამში აგროვებს 240 კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია სავალდებულო და არჩევით კომპონენტებზე (177: 63).

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 15 ნოემბრის (MES 4 22 0001454407) ბრძანების საფუძველზე შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლოს ფაკულტეტზე განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, რომელიც ჩატარდა აკრედიტაციის დებულებაში აღწერილი პროცედურის შესაბამისად (მუხლი 26, გვ. 11) და წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, ექსპერტთა კორპუსის წარმომადგენლები შეხვდნენ და გაესაუბრენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების პროცესში მონაწილე ჯგუფის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელს, მასში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის სტუდენტებს, კუსდრამთავრებულებს, პოტენციურ დამსაქმებელსა და სტაჟირების განმახორციელებელ პირებს. ამ უკანასკნელთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ გაუთვალისწინებელი, თუმცა გასაგები მიზეზების გამო ინტერვიუზე ვერ გამოცხადდა პროგრამის კურსდამთავრებულთა არსებული დამსაქმებელი და გასაუბრება შედგა მხოლოდ პოტენციურ დამსაქმებელთან.

აკრედიტაციის ვიზიტის დადგენილი რეგლამენტის მიხედვით, ექსპერტებმა ვიზუალურად დაათვალიერეს პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები (ბიბლიოთეკა, საგამოცდო ოთახები, საკონფერენციო დარბაზები, საკლასო ოთახები, სტუდენტებისთვის გამოყოფილი თავისუფალი სივრცე და სხვ.), ასევე გაესაუბრენ შესაბამისი სამსახურების გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელ პირებს და გამოითხოვეს კონკრეტული დოკუმენტაცია. სააკრედიტაციო ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მაძიებელ პერსონალს ვიზიტისა და მისი წინარე მუშაობისას პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები გააცნეს.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის მომზადებაში ჩართულ ყველა პირს მშვიდი სამუშაო გარემოს შექმნისა და შეუფერხებელი მუშაობისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისური ფილოლოგია შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, კომპონენტები 1.2.; 1.3.; 1.4; 1.5.; 2.1; 5.1.- მეტწილ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. კომპონენტები 1.1.; 2.2; 2.3; 2.4; 3.1; 4.1; 4.3; 4.4; 4.5; 5.2;5.3 - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. შესაბამისად,

- სტანდარტი 1: მეტწილ შესაბამისობაშია**
- სტანდარტი 2: შესაბამისობაშია**
- სტანდარტი 3: შესაბამისობაშია**
- სტანდარტი 4: შესაბამისობაშია**
- სტანდარტი 5: შესაბამისობაშია**

რეკომენდაციები

1.2 კომპონენტთან მიმართებაში

- პროგრამის შედეგების მიღწევის მაქსიმალურად ზუსტი გაზომვის მიზნით, რეკომენდებულია, პროგრამის შედეგების კორექტირება და აბსტრაქტული, ორაზროვანი და განმეორებითი აქტივობების კონკრეტული შედეგებიდან (#1, #4, #6, #7, #9) ამოღება.

1.3 კომპონენტთან მიმართებაში

- რეკომენდებულია, #1 სწავლის შედეგის შესაფასებლად შერჩეულ ე.წ. „ჩამკვეტ“ (ან შესაბამისი კომპეტენციების განმამტკიცებელ) კურსებად განისაზღვროს ისეთი კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ შედეგის მიღწევას პროგრამის სამიზნე C1 დონეზე (საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად).

1.4 კომპონენტთან მიმართებაში

- რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურის მოდიფიკაცია კონკრეტული კურსებისთვის სავალდებულო და არჩევითობის სტატუსის გადანაცვლების სახით, ისე, რომ პროგრამის სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში მაქსიმალურად იქნას ფილოლოგიის დარგისათვის მნიშვნელოვანი სწავლის შედეგები უზრუნველყოფილი; კერძოდ,
 - ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკის კომპეტენციის განმავითარებელი კურსები „ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა B1“, და „ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა B1+“ შეკვეცილი სახის ინტეგრირდეს პროგრამის სავალდებულო საგნების ბლოკში;
 - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს „ენათმეცნიერების შესავალი“ და „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“ შეეცვალოს სტატუსი და გახდეს სავალდებულო.

1.5 კომპონენტთან მიმართებაში

- რეკომენდებულია, პროგრამის სავალდებულო ლიტერატურის გადახალისება და დაკომპლექტება უახლესი გამოცემებით, ისევე, როგორც დარგის უახლესი კვლევების ამსახველი პუბლიკაციებით.

2.1 კომპონენტთან მიმართებაში

- პროგრამის სრულფასოვნად ათვისების მიზნით, რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დამატებით განისაზღვროს
 - ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის გამოცდაში მინიმალური ქულობრივი ბარიერი.
 - უცხოელი სტუდენტის ჩარიცხვისას მოთხოვნად სერთიფიკატში B1 დონე. ასევე განიხილება უნივერსიტეტის მიერ ინგლისურ ენაში B1 დონის დამადასტურებელი შიდა გამოცდის ორგანიზება.

5.1 კომპონენტთან მიმართებაში

- რეკომენდებულია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა უფრო დიდი მასშტაბით ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.1 კომპონენტთან მიმართებაში

- სასურველია, ინგლისური ფილოლოგიის სპეციფიკის გათვალისწინებით, გააქტიურდეს სტუდენტებთან მუშაობა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების კუთხით. კერძოდ, სტუდენტებისთვის მრავალფეროვანი გაცვლითი პროგრამების მოძიება და მეტი სტუდენტის ჩართვა მათში.

1.2 კომპონენტთან მიმართებაში

- სასურველია, შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი იყოს მეტად ინფორმაციული სპეციალობით დასაქმების სფეროებისა, და ზოგადად პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების ნაწილში ასახავდეს მონაცემთა დეტალურ ანალიზს.

1.4 კომპონენტთან მიმართებაში

- სასურველია, პროგრამის სსწავლო გეგმა გამარტივდეს ტექნიკურად და წინაპირობებში კურსებისთვის მინიჭებული კოდებთან ერთად მიეთითოს კონკრეტული კურსების სახელწოდება სტუდენტების მიერ მის მარტივად აღსაქმელად.
- სასურველია კურსების „ტექსტის ინტერპრეტაცია 1 (პროზა/მოთხრობა)“ და „ტექსტის ინტერპრეტაცია 2 (დრამა და პოეზია)“ სახელწოდება ჩანაცვლდეს შინაარსის ადეკვატური სახელწოდებით.

2.2. კომპონენტთან მიმართებაში

- სასურველია, პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან გაფორმებულ მემორიანდუმებში მითითებული იყოს სტუდენტთა სამიზნე რაოდენობა, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ პროგრამისა და მეორე მხრივ, თავად პრაქტიკის განმახორციელებლისთვის პროცესის უკეთ დაგეგმვას.

5.1 კომპონენტთან მიმართებაში

- სასურველია დამსაქმებლის მეტად ჩართულობა უშუალოდ პროგრამის შეფასების პროცესში, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;
- სასურველია სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან უფრო ინტენსიური თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან.

5.3. კომპონენტთან მიმართებაში

- სასურველია ანალაგიურ პროგრამებთან შედარების დროს უფრო მეტად და სიღრმისეულად მოხდეს პროგრამების შედარება და ანალიზი, პროგრამის განვითარების მაქსიმალური ხელშეწყობისათვის.

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

უმადლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურების თანახმად, შპს. ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ აკრედიტაციის დასკვნის პროექტზე. ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის ანალიტიკური პოზიციისა და სიღრმისეული განმარტებების ყურადღებით გაცნობის შემდეგ ნაწილობრივ გაიზიარა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოსაზრება და არგუმენტები, რაც შესაბამისად აისახა წინამდებარე დასკვნაში; კერძოდ, 1.3, 1.4. და 2.1 კომპონენტებთან მიმართებით შემუშავებული 3 რეკომენდაცია მოდიფიცირდა, ხოლო ერთ-ერთი, კერძოდ, 1.4.2- სასწავლო კურსის ნუმერაციასთან დაკავშირებული რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში. რაც შეეხება 1.2. და 1.5 კომპონენტებთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებს პროგრამაში სწავლის შედეგების ვერბალურ გაფორმებასა და ლიტერატურის გადახალისებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტი მეტწილად დაეთანხმა ექსპერტებს და გაიზიარა მათი რეკომენდაციების შინაარსი, ისევე, როგორც 5.1 კომპონენტთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაცია. რაც შეეხება 2.1. კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციას პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მინიმალური ზღვრული ბარიერის განსაზღვრის შესახებ, ექსპერტთა ჯგუფისთვის უნივერსიტეტის პოზიცია ერთი მხრივ გასაგებია, თუმცა ინგლისური ფილოლოგიის დარგის სპეციფიკისა და თავად პროგრამაში სამიზნე ენობრივ კომპეტენციად განსაზღვრული მაღალი C1+ დონის რეალურად დასადასტურებლად, ვფიქრობთ, აუცილებელია აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება. დეტალიზაცია მოცემულია წინამდებარე დასკვნის შესაბამისი კომპონენტების აღწერილობით ნაწილში.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის, თანდართული დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, მოამზადოს ფართო ჰუმანიტარული მსოფლმხედველობის, უცხო კულტურების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულებისა და მრავალფეროვანი ტრანსფერული უნარების მქონე, ინგლისური ფილოლოგიის დარგისათვის საკვანძო თეორიული ცოდნით, ინგლისური ენის კომპეტენციის C1+ დონის

შესაბამისი პრაქტიკული და უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისათვის რელევანტური სამეცნიერო კვლევითი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი, ითვალისწინებს ინგლისური ფილოლოგიის სფეროს თავისებურებებს და ორიენტირებულია ისეთი დამოუკიდებელი კურსდამთავრებულის გამოშვებაზე, რომელსაც პასუხისმგებელია საკუთარ მომავალზე.

ინტერვიუსა და დოკუმენტაციის ანალიზით დადასტურდა, რომ მოცემული პროგრამის მიზნები ეხმიანება შპს. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მისიას, ხელი შეუწყოს „სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო-პრაქტიკულ მოდელებზე“ (GAU- ს მისია: <https://www.gau.edu.ge/ka/about/history-and-mission>) დაფუძნებული განათლების გადაცემასა და ინოვაციურ საქმიანობას იმდენად, რამდენადაც, პროგრამის პერსონალისთვის პრიორიტეტულია სტუდენტებისთვის კვლევითი და პრაქტიკული უნარების გამომუშავება და სთავაზობს კიდევ მათ შესაბამის სასწავლო და კვლევით კომპონენტს. პროგრამის მიზნები და შინაარსი ასევე მორგებულია „საზოგადოების განვითარებისა და ქვეყნის გლობალური ინტეგრაციის ხელშეწყობაზე“, რამდენადაც მისი კონტენტი სტუდენტებისთვის ინტერნაციონალური გარემოს შექმნასა და მასთან ასოცირებულ საკითხებს ეხმიანება.

ინტერნაციონალიზაციასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტაციის ანალიზითა და ინტერვიუს შედეგებით გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტსა და კონკრეტულად პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გაცნობიერებული აქვს ინტერნაციონალიზაციის უდიდესი მნიშვნელობა როგორც ზოგადად განათლების პროცესში, ისე უშუალოდ მოცემული პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით და მაქსიმალურად ხელს უწყობს პროგრამის პროფესორის სამეცნიერო-კვლევით ინტერნაციონალიზაციას. შედეგად, ბოლო 5 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით დასტურდება საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები (45) და საერთაშორისო კონფერენციებში წარმოდგენილი მოხსენებები (48). სტუდენტებს რაც შეეხება, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბოლო 5 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, პანდემიის პერიოდში სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ ვირტუალურ საერთაშორისო კონფერენციებში და ვებინარებში, თუმცა რეალურ გაცვლით პროგრამებში, ბოლო 5 წლის მონაცემების თანახმად, სულ 3 სტუდენტი იმყოფებოდა ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში, რაც, ინგლისური ფილოლოგიის სპეციფიკის გათვალისწინებით, ექსპერტთა აზრით, მათი აქტივობის დაბალი მაჩვენებელია და სასურველია, გაუმჯობესდეს, მითუფრო მაშინ, როცა პროგრამას თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული 30-ზე მეტ საერთაშორისო უნივერსიტეტთან და სავსებით შესაძლებელია მეტი სტუდენტის ჩაბმა საერთაშორისო მობილობაში.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის მიზნები პროგრამაში ჩაშლილია 6 პუნქტად და განმარტებულია დეტალურად, ასევე რეალისტური და მიღწევადია, რამდენადაც მისი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შემცველი შინაარსის რეალიზებას უძღვება გამოცდილი და კვალიფიციური აკადემიური კადრი, რომელიც ხელშეწყობას იღებს უნივერსიტეტისა და შესაბამისი სკოლიდან, სარგებლობს აკადემიური თავისუფლებით, ორიენტირებულია პროგრამის განვითარებასა და სტუდენტების ინტერესების დაცვაზე, რაც დოკუმენტაციის გაცნობასთან ერთად ინტერვიუმაც დაადასტურა. პროგრამა ქართულ ენაზე ხორციელდება, თუმცა ინგლისური ენის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოიცავს ინგლისურენოვან კომპონენტს- პრაქტიკული ენის კურსების ინგლისურად ჩატარებისა და უმეტესად, ინგლისურენოვანი ლიტერატურის სინთეზის სახით. პროგრამის მიზნების რეალისტურობისა და მიღწევადობის ასევე განსაზღვრავს მისი ბიუჯეტი და სტუდენტთა მზარდი რაოდენობა. როგორც ინტერვიუზე აღინიშნა, 2022 წელს დაფიქსირდა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების საკმაოდ დიდი რაოდენობა (დაახლ. 100-ზე მეტი), რაც

უნივერსიტეტისა და კონკრეტულად, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის მზარდ პოპულარობაზე მიუთითებს.

მიზნების რეალისტურობასა და მიღწევადობაზე მიუთითებს ასევე ინგლისური ფილოლოგიის სფეროში დასაქმებაზე მოთხოვნა და რეალური დასაქმების პერსპექტივები, რასაც მოწმობს შპს. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის კარიერის ცენტრის მიერ მოწოდებული შრომის ბაზრის ცალკეული ასპექტების კვლევა, დოკუმენტის მიხედვით, რომელიც დასაქმების სააგენტოს (hr.com.ge)-სა და hr.gov.ge-ს მონაცემთა ბაზისა და საქართველოს შრომის ბაზრის შესახებ არსებულ კვლევებზე დაყრდნობით ჩატარდა და, რომელიც ასახავს განათლების სექტორში ბოლო 4 წლის (2018-2022) განმავლობაში გამოკვეთილ მოთხოვნისა და მიწოდების ტენდენციებს ადგილობრივად, 2020 - 2021 წლებში გამოიკვეთა პროგრამაში განსაზღვრულ დასაქმების სფეროების („ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დამატებით სტრუქტურულ ერთეულები, ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიები/ასოციაციები/კავშირები/ საზოგადოებები, სამეცნიერო, კვლევითი და საგანმანათლებლო ცენტრები, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები; სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, საბიბლიოთეკო ქსელი, რედაქციები და გამომცემლობები; დიპლომატიური წარმომადგენლობები, საინფორმაციო და ტურისტულ სააგენტოებში, ტურიზმის სფეროში, ქსელური მარკეტინგი და სხვ.). მოთხოვნაზე კლება (მაგ. 2020 წ.- 447; 2021- 548, მაშინ როცა 2018/2019 წლებში- 668 და 680), რაც მოცემულ წლებში არსებული პანდემიით აიხსნება კონკრეტულ დოკუმენტში („შრომის ბაზრის ცალკეული ასპექტები, გვ. 14). ვაკანსიების ნაკლებობას ასახელებს ჯერდაუსაქმებელი კურსდამთავრებულთა 51% -იც მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად , თუმცა პროგრამაში გაწერილი დასაქმების სფეროები იმდენად მრავალფეროვანია, რომ, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, პანდემიის დასრულების პირობებში, ამგვარი დაბრკოლება რელევანტური მიზეზი აღარ უნდა იყოს.

აკრედიტაციის ვიზიტმა და პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით შექმნილი პროგრამების განვითარების კომისიის თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ანალიზმა ცხადყო, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები სრულად არის გაზიარებული პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ, რომელიც სიღრმისეულად ერკვევა პროგრამის მიზნებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხში და გამოთქვამს საკუთარ აზრს პროგრამის მოდიფიკაციისა და გაუმჯობესების მიზნით.

მოცემული პროგრამა განთავსებულია ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ფართო საზოგადოებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მისია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ინგლისური ფილოლოგიის სპეციფიკის გათვალისწინებით, გააქტიურდეს სტუდენტებთან მუშაობა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების კუთხით. კერძოდ, სტუდენტებისთვის მრავალფეროვანი გაცვლითი პროგრამების მოძიება და მეტი სტუდენტის ჩართვა მათში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	■	□	□	□

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საკრედიტაციოდ წარმოდგენილ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩამოყალიბებულია 10 სწავლის შედეგი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის #69/ნ ბრძანებით დამტკიცებული განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის და ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლისა და ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისად და დეტალურად ასახავს თუ რა **ზოგადი ფილოლოგიური ცოდნისა**, ინგლისური ენის C1 + დონის კომპეტენციისათვის რელევანტური **პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევებისა, ღირებულებებისა და ავტონომიურობის** მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. კერძოდ, პროგრამის შედეგების ბლოკის მიხედვით, კურსდამთავრებული იაზრებს ზოგადი სახის ენათმეცნიერულ, მსოფლიო მასშტაბის ლიტერატურულ, ფსიქოლოგიურ, ეთიკურ და ისტორიულ- კულტურულ კონტექსტსა და თეორიებს მულტინაციონალურ ჭრილში და ზოგადსაკაცობრიო და ქართული „ფასეულობებისა და ღირებულებების“ გაზიარების ფონზე, თავად გეგმავს თავისი შემდგომი პიროვნული და პროფესიული განვითარების გზას; დამოუკიდებლად და ეფექტურად მართავს თავის დროსა და რესურსებს“ (ინგლისური ფილოლოგიის კურიკულუმი, შედეგები, #9), „ერთვება **გუნდურ მუშაობაში** პირადი და სოციალური პასუხისმგებლობის სრული შეგნებით მონაწილეობს მუშაობის პროცესის ყველა ეტაპის განხორციელებაში (ინგლისური ფილოლოგიის კურიკულუმი, შედეგები, #8).

რაც შეეხება, ენის კომპეტენციას, კურსდამთავრებული „ ინგლისური ენის C1 + დონის კომპეტენციის ფარგლებში ენის სამი სისტემის გააზრების საფუძველზე თავისუფლად კითხულობს, მიზანმიმართულად წერს და საუბრობს ინგლისური ენის მდიდარი და მრავალფეროვანი სტრუქტურული, თემატური და ფუნქციური რესურსის გამოყენებით. სწვდება ნათქვამის შინაარსსა და ადექვატურად რეაგირებს მასზე“ (ინგლისური ფილოლოგიის კურიკულუმი, შედეგები, #2). გარდა ამისა, პროგრამაში აღნიშნულია ციფრულ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფით ზეპირი პრეზენტაციების შესრულება და „ნებისმიერი ტიპის მულტიმედიური ინფორმაციის (სამეცნიერო - კვლევითი, დარგობრივ - პროფესიული, მხატვრული/არამხატვრული) ინგლისურ და ქართულ ენებზე“ წერილობითი სახით მოძიება (ინგლისური ფილოლოგიის კურიკულუმი, შედეგები, #4 და # 7) და სხვ.

პროგრამაში შედეგების ჩამოყალიბებისას აშკარაა მიზნებთან შესაბამისობა, თუმცა პროგრამაში შედეგების ვერბალურად და შინაარსობრივად გაფორმებასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს აქვს გარკვეული მოსაზრება: შედეგები იმდენად დეტალურადაა პროგრამაში გაწერილი, რომ 10 კონკრეტული შედეგი იკითხება როგორც 35- ზე მეტი აქტივობა, რომლის გაზომვაც რთულია პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმების გათვალისწინებით და შესაბამისად, მათი მიღწევადობა და რეალისტურობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. კერძოდ, კონკრეტული შედეგები ცალკეულ შემთხვევებში **აბსტრაქტული ხასიათისაა** (მაგ., „განსაზღვრავს თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობას პიროვნული და პროფესიული განვითარების კუთხით[...], „ახდენს თავისი პროფესიული ცოდნის *პერმანენტულ განახლებას...*“, „იყენებს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მრავალფეროვან რესურსს ნებისმიერი აკადემიური თუ პროფესიული საქმიანობის დროს“...), და/ან **რამდენიმე სხვადასხვა აქტივობასთან ასოცირდება** (მაგ., შედეგი # 1-ში მოცემულია შემდეგი აქტივობები: აღწერს, მიმოიხილავს, აცნობიერებს, გაიაზრებს, აცნობიერებს, განსაზღვრავს; შედეგი # 6: აანალიზებს, აღწერს, განმარტავს, განიხილავს და სხვ.) და/ან **შეიცავს განმეორებით შინაარსს** (მაგ., შედეგი # 4 და # 7: ორივე მათგანში იკითხება ციფრულ ტექნოლოგიებთან და პრეზენტაციის ვერბალურად წარდგენასთან დაკავშირებული შედეგი; ასევე, შედეგები # 7 და #10: ორივე მათგანში იკითხება კვლევითი სამუშაოს შესრულებასთან ასოცირებული შედეგი). მიუხედავად იმისა, რომ ამ კონკრეტულ ნაწილში აშკარად იგრძნობა პროგრამის პერსონალის მიერ პროგრამის მიზნებისა და შედეგების სიღრმისეული გააზრება, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ **შედეგების მაქსიმალურად ზუსტი გაზომვის მიზნით, აუცილებელია პროგრამის შედეგების კორექტირება და აბსტრაქტული, ორაზროვანი და განმეორებითი აქტივობების კონკრეტული შედეგების ნაწილიდან ამოღება.**

რაც შეეხება პროგრამის არსებული კურსდამთავრებულების დასაქმების მონაცემებს ზემოთაღნიშნული შრომის ბაზრის ცალკეული ასპექტების კვლევის დოკუმენტში, მითითებული მონაცემები **ნაკლებად ინფორმაციული და სქემატური აღმიჩნდა** ექსპერტთა ჯგუფისთვის, რადგან მასში არ იკითხება ინგლისური ფილოლოგიის კურსდამთავრებულთა დასაქმების ციფრობრივი მაჩვენებელი, ისევე, როგორც უშუალოდ სპეციალობის კუთხით დასაქმებულთა რაოდენობა; მოცემულია მხოლოდ პროცენტული შესაბამისობა 69.50/ 91.4%-ზე -20-24 წლის ასაკობრივ ჭრილში საქართველოს მოსახლეობასთან მიმართებით დასაქმების ზოგად მაჩვენებელსა და ამავე ასაკობრივ ჭრილში, GAU-ს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა დასაქმებას შორის. დოკუმენტი ასევე არაინფორმაციულია გლობალური და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების ანალიზის კუთხით.

როგორც კურსდამთავრებულებთან ინტერვიუზე აღინიშნა, მათი გარკვეული ნაწილი დამატებითი პირობებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე (მაგ., შიდა საუნივერსიტეტო პრაქტიკის გავლის შემდეგ ან კონკრეტული სამსახურის მიერ წარდგენილი დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე) საქმდება ძირითადად

ინგლისური ენის სპეციალისტებად თავად ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში, მაგ., კარიერის ცენტრში, მარკეტინგის დეპარტამენტში და სხვ. ისევე, როგორც ინგლისური ენის პედაგოგებად საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მაგ., „კერძო სკოლა „ მთიები“, საერთაშორისო აკადემია „ლოგოსი“ და სხვ.). ამ კუთხით საყურადღებოა, რომ არსებული პროგრამის ფარგლებში ორივე სახის დასაქმებისას დამატებითი პირობებია დასაკმაყოფილებელი, რაც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი განახლებული პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, ექსპერტთა აზრით, უნდა დარეგულირდეს სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტის გავლით,

კურსდამთავრებულების პროფესიით დასაქმებასთან მიმართებით, მიუხედავად კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებში მითითებული სპეციალობით დასაქმებულთა 86% -ისა, ექსპერტებისთვის მოწოდებული ინფორმაცია არასაკმარისია და სასურველია მეტი კონკრეტიკა ამ მიმართულებით დეტალური სურათის შესაქმნელად, კერძოდ, განმარტება იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელ სფეროში და რა პოზიციებზე არიან კურსდამთავრებულები დასაქმებულები მითუფრო მაშინ, როდესაც ინტერვიუზე ექსპერტებს, სამწუხაროდ, არ მიეცათ საშუალება არსებულ დამსაქმებელთან ჯეროვანი გასაუბრებისა. მოხერხდა მხოლოდ პოტენციურ დამსაქმებელთან კომუნიკაცია (იხ. აკრედიტაციის ვიზიტის აღწერა).

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის, თანდართული დოკუმენტაციას ანალიზით დადასტურდა, რომ პროგრამის შედეგები მისი პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლის მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა, რამდენადაც პროგრამების განვითარების კომისიის სხდომების ჩანაწერებში პროგრამის შედეგებთან მიმართებით ყველა მათგანის აზრია დაფიქსირებული და გათვალისწინებული დოკუმენტურად, მაგალითად, პრაქტიკისა და კვლევითი სახის პროექტების სავალდებულო კომპონენტებად განსაზღვრისა და შესაბამისად მათი შედეგებში ასახვის დროს

გარდა ამისა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამაც ცხადყო მათი გუნდური და კოპერაციული თანამშრომლობა და ერთგვაროვანი დამოკიდებულება პროგრამის შედეგების მიმართ, ისევე, როგორც, მათ მიერ შედეგებთან რუკისა თუ სხვა ასოცირებული პროცესების დეტალური ცოდნა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისი სილაბუსებით;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი 2021 წლის 21 და 22 სექტემბრის ოქმები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის თვითშეფასება და თვითშეფასების დანართი 1- პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები;

რეკომენდაციები:

- პროგრამის შედეგების მიღწევის მაქსიმალურად ზუსტი გაზომვის მიზნით, რეკომენდებულია პროგრამის შედეგების კორექტირება და აბსტრაქტული, ორაზროვანი და განმეორებითი აქტივობების კონკრეტული შედეგებიდან (#1, #4, #6, #7, #9) ამოღება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი იყოს მეტად ინფორმაციული სპეციალობით დასაქმების სფეროებისა, და ზოგადად პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების ნაწილში ასახავდეს მონაცემთა დეტალურ ანალიზს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების გასაზომად და შესაფასებლად გამოიყენება უნივერსიტეტში დადგენილი „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, რომელიც თავის თავში გულისხმობს შეფასების არაპირდაპირ და პირდაპირ მეთოდოლოგიას. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებიდან მოცემული პროგრამის ფარგლებში გამოიყენება 1) დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვები; 2) მოცემული პროგრამის დადარება მსგავს პროგრამებთან როგორც ადგილობრივად, ასევე საერთაშორისო მასშტაბით და კურიკულუმის ანალიზი. ასე მაგალითად, როგორც ინტერვიუდან და დოკუმენტაციის ანალიზით გაირკვა, პროგრამის შემუშავებისას გაზიარებული იყო ინგლისური ფილოლოგიის 3-4 წლიანი პროგრამების ევროპული გამოცდილება, კერძოდ, ვილნიუსის, კაუნასის, ვიტაუტას მაგნუსის, ვროცლავის, ვარშავის, პიტემტის, ჰელსინკისა და ლეიდენის უნივერსიტეტების გამოცდილება,

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდები გულისხმობს ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტთა მხრიდან სწავლის შედეგის მიღწევის დადგენას მათი აკადემიური მოსწრების ანალიზის საშუალებით, რისთვის უნივერსიტეტი იყენებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაში (ECTS) შემუშავებული სტუდენტთა რანჟირების სკალას, რომელიც ემთხვევა გაუსის ნორმალურ განაწილებას, რომელიც ემთხვევა გაუსის ნორმალურ განაწილებას - საუკეთესო სტუდენტების (ყველაზე მაღალქულიანი) რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%-ს არ უნდა

აღმატებოდეს, შემდეგ კი საფეხურებად 25%-30%-25%-10% . ბოლო 5 წლის სწავლის შედეგების შეფასების მონაცემების მიხედვით, აღნიშნული სამიხნე ნიშნულიდან 20%-ზე მეტი გადახვევა არ ფიქსირდება, რას, შეფასების მექანიზმის მიხედვით, რაც იქნებოდა როგრამის/სილაბუსის სწავლის შედეგებისა და მისი მიღწევის გზების გადახედვის პირობა. სწავლის შეფასების მექანიზმში გაწერილი პროცედურის მიხედვით, სწავლის შედეგის სამიხნე ნიშნულია აკადემიური მიღწევის ნორმალური მაჩვენებელი, რომლის დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე გადაიხედება საგანმანათლებლო პროგრამის/სილაბუსის სწავლის შედეგები, სასწავლო კომპონენტისთვის მინიჭებული კრედიტის მოცულობა; საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადანაწილება; სწავლა/სწავლების მეთოდები; სასწავლო კომპონენტის თემატიკა; სავალდებულო ლიტერატურის სირთულე და მოცულობა; შეფასების სისტემა და კრიტერიუმები; ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა და სხვა.

სტუდენტთა მიღწევების შესაფასებისას გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, რომელიც, ექსპერტთა აზრით, გარკვეულწილად ითვალისწინებს კონკრეტულ შედეგებზე გასვლისათვის რელევანტური საგნ(ებ)ისა და თუ ცალკეული აქტივობ(ებ)ის სპეციფიკას: მაგალითად, შედეგი #2-ინგლისური ენის C1 + დონის კომპეტენციისა შესაფასებლად პროგრამაში ჩამოლილი რუბრიკა მორგებულია შესაბამის დონეზე ენის ფლობასთვის აუცილებელი 4 უნარ - ჩვევის კითხვის, წერის, საუბრისა და მოსმენის სპეციფიკაზე, რამდენადაც ამოწმებს წაკითხულისა და მოსმენილის გააზრებას (კითხვა და მოსმენა), ისევე, როგორც თავისუფლად აზრის გამოხატვას ვერბალურად = გაბმული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტის დაცვით, და წერილობით - გამართულ სტილსა და სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოდელებზე აქცენტირებით. (საუბარი და წერა); ასევე შეფასების ფორმები- **პროგრეს ტესტი/წერითი გამოკითხვა/ ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაცია/** აღწერითი ესე, მიზეზ-შედეგობრივი ესე, არგუმენტირებული ესე/ და სხვ. მოცემული შედეგისათვის ადექვატური შეფასების ფორმებია, თუმცა, პროგრამის სწავლის #1 შედეგის დადასტურების მიზნით სტუდენტთა მიღწევების შესაფასებლად პროგრამაში განსაზღვრულია 23 სასწავლო კურსი,, რამაც, კურსების სტატუსისა და შინაარსის გათვალისწინებით, გარკვეული ბუნდოვანება გამოიწვია. კერძოდ, ექსპერტებისთვის გაუგებარი აღმოჩნდა, თუ რა პრინციპით იქნა კონკრეტული კურსები შერჩეული პროგრამის შედეგის შესაფასებლად. ექსპერტებმა აკრედიტაციის ვიზიტის დროს დასვეს კითხვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაზეც მიიღეს პასუხი, რომ მოცემული კურსები არის ე.წ. „ჩამკეტი“ საგნები, რომლებშიც ხდება კონკრეტული შედეგის განმტკიცება. მიუხედავად ამისა, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ **სწავლის შედეგისა და კურსების აღნიშნული მიმართება საჭიროებს გადახედვას და კორექტირებას შედეგის რელევანტურად შეფასების მიზნით;** კერძოდ, ა) ზოგიერთი ამ კურსთაგანი, ექსპერტების აზრით, არ არის ე.წ. „ჩამკეტი“ კურსი (მაგ., „ინგლისური ენა C1+1“, რადგანაც პროგრამის სავალდებულო საგნების ბლოკში შეთავაზებულია C1 + 2-იც რომელიც, ლოგიკურად, უფრო მეტად მოიაზრება ე.წ. „ჩამკეტი“ კურსად. ამ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტის ჩანაწერის მიხედვით, ეს უკანასკნელი ვერ იქნება ე.წ. „ჩამკეტი“ კურსი, რადგან არჩევითია, თუმცა რეალურად, ექსპერტებისთვის მიწოდებულ სასწავლო გეგმაში ფიქსირდება 2 იდენტური დასახელების კურსი, რომელთაგანაც ერთი „ინგლისური ენა C1-2“ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო საგნების ბლოკშია წარმოდგენილი # 22-ე საგნად და შეთავაზებულია მე-6 სემესტრში, ხოლო მეორე-სახელწოდებით „ინგლისური ენა C1+2“ კურიკულუმის მიხედვით, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი საგნების სექტორშია # 26 -ე საგნად წარმოდგენილი და შეთავაზებული მე-8 სემესტრში (ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო გეგმა. დაბართი 1). შესაბამისად, რეკომენდაციის საფუძველი გახდა სავალდებულო საგნების ბლოკში ჩასმული სასწავლო კურსი, რომელიც შინაარსობრივად და შედეგების რუკის

მიხედვითაც გვევლინება, როგორც ცოდნის გამაღრმავებელი კურსი „ინგლისური ენა C1+1“-თთან ერთად. შესაბამისად, გაჩნდა კითხვა, თუ რატომ შეირჩა ერთი და არა მეორე, ან ორივე ერთად შედეგის სრულყოფილად დადასტურების მიზნით. უნივერსიტეტის მიერ მოყვანილი არგუმენტი კი ამ კონკრეტულ შემთხვევაში არარელევანტურია, რადგან იმავე სახელწოდების არჩევითი კურსისკენ მიემართება).

ბ) კონკრეტული კურს(ებ)ის „ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა B2“-ისა და „წერის უნარ-ჩვევები 3“ არჩევა პროგრამის სწავლის მოცემული შედეგის დასადასტურებლად ასევე გაუგებარია ექსპერტებისთვის, რადგანაც პროგრამის N1 სწავლის შედეგი შინაარსობრივად არის თეორიული ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული, ხოლო მის გასაზომად შერჩეულია პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კურსები, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უმჯობესია ამ შედეგის გაზომვისას შეირჩეს თეორიული ცოდნის შემსწავლელი ან განმამტკიცებელი კურსები. გარდა ამისა, პრაქტიკული გრამატიკის აღნიშნული კურსი ვერ დაადასტურებს მოცემულ უნარს პროგრამის სამიზნე- ენობრივი კომპეტენციის C1+ დონეზე, რადგან B2 დონეს ფარავს თავისთავად, ამას გარდა, ენის სწავლებისადმი თანამედროვე კომუნიკაციური მიდგომების გათვალისწინებით, პრაქტიკული გრამატიკის შეფასება მნიშვნელობას იძენს კონტექსტში, ენობრივი კომპეტენციის 4 უნარის- კითხვა, მოსმენა, წერა, და საუბარი გამომუშავება/დადასტურების დროს. აღნიშნული კომპონენტი კი პროგრამის ფარგლებში უკვე ფასდება C1+ 1 კურსის მეშვეობით. ამასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები, რომლებშიც ახსნილია, თუ რა ნაწილში ხდება კონკრეტულ კურსში თეორიული სახის ცოდნის განმტკიცება, ისევე, როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ხედვა პრაქტიკული გრამატიკის კომპონენტის დამოუკიდებლად გაძლიერების თაობაზე საკვებით მისაღებია, თუმცა კვლავ აქტუალურად რჩება პროგრამის სამიზნე ენობრივი კომპეტენციის C1 -ს დადასტურებისთვის აუცილებელი და რელევანტური C1 და არა (მხოლოდ) B2 დონის სასწავლო კურსის შერჩევა. როგორც უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციიდან ირკვევა, პერსონალი მზადაა განახორციელოს გარკვეული სტრატეგიული ცვლილებები ამისათვის.

რაც შეეხება კიდევ ერთ არგუმენტს, რასაც ექსპერტებმა დასკვნის პროექტში ხაზი გაუსვეს, კერძოდ იმას, რომ მოცემული 23 კურსიდან 7 საგანს: „ეთიკა“, „ზოგადი ფსიქოლოგია“, „საქართველო და გარესამყარო“, „დიადი წიგნები: დაფუძნების იდეა და დამფუძნებლები“, „დიადი წიგნები: დრამა სხვადასხვა პერპექტივიდან“, „დიადი წიგნები: ამბოხი ღმერთების წინააღმდეგ“, „დიადი წიგნები: პოლიტიკური რეჟიმები“- არ აქვს სავალდებულო კურსების სტატუსი, უნივერსიტეტის არგუმენტირებული პასუხის შემდეგ გაცხადდა, რომ ეს კურსები მიეკუთვნება სავალდებულო თავისუფალი კომპონენტების საგნებს და არა არჩევითს. როგორც ჩანს, დაკვანის პროექტის თავდაპირველ ვერსიაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, რისთვისაც ექსპერტთა ჯგუფი ბოდიშს იხდის. თუმცა, მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთმოყვანილმა გარემოებებმა ცხადყო, პირველი შედეგის შესაფასებლად შერჩეული საგნების სია კვლავ საჭიროებს გადახედვა/კორექტირებას.

დოკუმენტაციის ანალიზმა ცხადყო, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე დაინტერესებული მხარეების - დამსაქმებლისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა, რომლებსაც სისტემატიურად ეგზავნებათ კმაყოფილების კვლევის დამადასტურებელი კითხვარი და რომლის შედეგებიც თავმოყრილია ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის 2020-2021 წლის კმაყოფილების კვლევის წლიურ ანგარიშში. მოცემული ანგარიშის თანახმად, გამოკითხულ დამსაქმებელთა უმრავლესობა (22 რესპონდენტიდან 12) მაღალ შეფასებას აძლევს GAU- ს კურსდამთავრებულების კვალიფიკაციას, დამსაქმებლის გამოკითხვასთან მიმართებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 38 ორგანიზაციიდან მხოლოდ 22 რესპონდენტის პასუხია კვლევაში ასახული, რაც ექსპერტთა ჯგუფისათვის გარკვეულწილად იმის დასტურია, რომ სასურველია დამსაქმებლის მეტად

გააქტიურება და დაინტერესება ინგლისური ფილოლოგიის პროგრამით. გარდა ამისა, როგორც აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვის ნაწილში აღინიშნა, ვიზიტზეც არ გამოცხადდა ყველა შეთანხმებული დამსაქმებელი, რაც კიდევ ერთი არგუმენტი იმისა, რომ სასურველია დამსაქმებლის მეტად ცარბმა პროგრამის განხორციელების პროცესში.

პროგრამის აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან გასაუბრებებამ დაადასტურა, რომ ისინი კარგად იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების პროცედურასა და მეთოდებს ისევე, როგორც სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს. მათ სემესტრის ბოლოს ეგზავნებათ სწავლის შედეგების შეფასების მონაცემები მეილების საშუალებით; გარდა ამისა, აშკარაა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივად ჩართულია პროფესურსთან კონსულტაციებში და ღიაა მათი მხრიდან გამოთქმული მოსაზრებისთვის.

აკრედიტაციის ვიზიტმა ასევე გამოავლინა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს უწყვეტ მხარდაჭერას ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ხარისხის სამსახურისგან შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის ტრენინგებისა და ყოველდღიურ რეჟიმში აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და გაზიარების სახით.

საკრედიტაციოდ მოწოდებული პროგრამისა და თანდართული დოკუმენტაციის ანალიზმა ასევე დაადასტურა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად; მაგალითად, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლის კმაყოფილების კვლევის საპასუხოდ, გუნდური უნარების უკეთ გასავითარებლად პროგრამაში გადახალისდა სწავლა/სწავლებისა და სტუდენტთა შეფასების მეთოდები და პროგრამაში ინტეგრირდა ჯგუფში სწავლება, ჯგუფური პროექტები, პრეზენტაციები და სხვ. გარდა ამისა, შედეგების ანალიზმა ასევე განაპირობა ენის კომპეტენციისათვის აუცილებელი პრაქტიკული სასწავლო კომპონენტის გაძლიერება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა (პროგრამის მიზნები, პროგრამის სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების რუკა);
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, #1 სწავლის შედეგის შესაფასებლად შერჩეულ ე.წ. „ჩამკვეტ“ (ან შესაბამისი კომპეტენციების განმამტკიცებელ) კურსებად განისაზღვროს ისეთი კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ შედეგის მიღწევას პროგრამის სამიზნე C1 დონეზე (საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	■	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საკრედიტაციოდ მოწოდებული ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და სილაბუსების, ასევე თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ სააკრედიტაციოდ მოწოდებული ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა აგებულია ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად:

პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე ინგლისურენოვანი კომპონენტით, რაც , გულისხმობს ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენებას სასწავლო პროცესში და გარკვეულ კურსების სწავლებას ინგლისურ ენაზე.

მოცემული საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 (ECTS) კრედიტს, რომელსაც სტუდენტი აგროვებს 4 წლის განმავლობაში- 1 წლის მანძილზე არაუმეტეს 60 კრედიტისა, სემესტრში კი 30 კრედიტს.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის შესაბამის აღმწერებს და კომპლექსურად მოიცავს ინგლისური ფილოლოგიის ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნის, კერძოდ, მასთან ასოცირებული თეორიებისა და პრინციპების გააზრებაზე მორგებულ სასწავლო კურსებს (მაგ., ინგლისური ენის ისტორია, ლექსიკოლოგია, ლინგვისტური თეორიების საფუძვლები, ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია, დიადი წიგნები: დაფუძვლის იდეა და დამფუძნებლები; დიადი წიგნები: ამბოხი ღმერთების წინააღმდეგ და სხვ.) , მოცემული პროფესიული სფეროსთვის აუცილებელ შემეცნებით და პრაქტიკულ, ისევე, როგორც მინიმალური კვლევითი უნარ-ჩვევების- მონაცემთა მოძიება/დამუშავება/დასკვნების ჩამოყალიბება და სხვ გამომუშავებაზე ორიენტირებულ კურსებს (მაგ., აკადემიური წერა, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, საბაკალავრო ნაშრომი, თარგმანის თეორია და პრაქტიკა, ინგლისური სპეციფიკური მიზნებისათვის (ბიზნესი) და სხვ.) ისევე, როგორც ავტონომიური და პასუხისმგებლიანი სტუდენტის (autonomous learner) მომზადებაზე ორიენტირებულ სასწავლო აქტივობებსა თუ სწავლა/სწავლების მეთოდებს (მაგ., კურსებში ჩაშენებული დამოუკიდებელი მუშაობა,

თვითშეფასება, სასწავლო პრაქტიკის დღიურები, ანგარიშები, ჯგუფური კვლევითი პროექტი მთელი თავისი შინაარსით და სხვ.).

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის დეტალური შინაარსი ასახულია პროგრამის სასწავლო გეგმაში, რომელიც მოიცავს ყველა იმ სასწავლო და კვლევით კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება.

პროგრამისათვის განკუთვნილი 240 კრედიტი გადანაწილებულია ა) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის **სავალდებულო** სასწავლო კურსებზე- 153 კრედიტი; ბ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის **არჩევითი** სასწავლო კურსებზე - 42

სავალდებულო კრედიტი საბაკალავრო ნაშრომისა ან ჯგუფური კვლევითი პროექტის ჩათვლით. გ) **სავალდებულო თავისუფალ კომპონენტებზე** - 24 კრედიტი. დ) **თავისუფალი კომპონენტის არჩევით სასწავლო კურსებზე**- 21 კრედიტი. თავისუფალი კომპონენტის ამ ნაწილში, სტუდენტს ასევე შეუძლია დააგროვოს 12 კრედიტი არა მხოლოდ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამიდან, არამედ შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა, იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან ან საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული იმავე საფეხურის აკრედიტებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან ან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიერ "(ინგლისური ფილოლოგიის კურიკულუმი, გვ. 2). ~

ნიშანდობლივია, რომ პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი საგნების კრედიტების რაოდენობის ჯამი- 120-ზე მეტი- ბევრად აღემატება არჩევითი საგნებისათვის პროგრამით გათვალისწინებულ 63 კრედიტის რაოდენობას, რაც სტუდენტებს აძლევს ფართო არჩევანის შესაძლებლობას.

რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსს, მისი სავალდებულო საგნების ნაწილში გვხვდება ზოგიერთი ისეთი ინგლისური ენის ასპექტის გრადაციული განვითარება (მაგ., „ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა B1“, „ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა B1+“ და „ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა B2“), რომლის შეკვეცილი სახით (ვთქვათ მხოლოდ B1 და B2; /ან B1+ და B2+) ინტეგრირება პროგრამაში, ექსპერტთა აზრით, არსებითად არ დააზარალებს პროგრამას, მითუფრო მაშინ, როდესაც გრამატიკის შესაბამისი დონის გარკვეული ასპექტები მინიმალურად, თუმცა უცხო ენისადმი კომუნიკაციური და ჰოლისტური მიდგომების გათვალისწინებით, საკმარისი რაოდენობით მუდმივად იფარება სასწავლო კურსებში ინგლისური ენა B 1, ინგლისური ენა B 1+, ინგლისური ენა B 2, ისევე, როგორც აკადემიურ წერა 1 და აკადემიური წერა 2 -ის ფარგლებში.

რაც შეეხება არჩევითი საგნების ბლოკს, მასში ფიგურირებს ფილოლოგიის დარგისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საგნები, როგორცაა მაგალითად, „ენათმეცნიერების შესავალი“, და „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“, რაც, ვფიქრობთ, უფრო შეესაბამება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო საგნების სპეციფიკას, ვიდრე არჩევითის.

ამას გარდა, შედეგი #1-ის ნაწილი შეეხება საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ გარკვეული ცოდნის აკუმულირებას: „[...] გააზრებინოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე საქართველოს ადგილი, როლი და მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიის განვითარების პროცესში“, თუმცა შესაბამის კონტენტზე მორგებული საგანი „საქართველო მსოფლიო ისტორიის კონტექსტში“ თავისუფალი არჩევითი კურსების სტატუსითაა წარმოდგენილი. თუმცა ამ კონკრეტულ შედეგთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტის თანახმად, პროგრამაში მოცემულ კონტენტზე მორგებულია ასევე მეორე, სასწავლო კურსიც „საქართველო და

გარესამყარო“, რომელიც სავალდებულო საგანია და მხოლოდ მისი საშუალებითაც შესაძლებელია აღნიშნული შედეგის მიღწევა, რაც ექსპერტებმაც გაიზიარეს შესაბამისი სილაბუსისა და შედეგების რუკის გაცნობის შედეგადაც. მიუხედავად ამ კონკრეტული შემთხვევისა, ექსპერტთა აზრით, პროგრამის სტრუქტურა კვლავ საჭიროებს მოდიფიკაციას ზემოთაღნიშნული კურსებისთვის სავალდებულო და არჩევითობის სტატუსის გადანაცვლების სახით, ისე რომ პროგრამის სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში მაქსიმალურად იქნას ფილოლოგიის დარგისათვის მნიშვნელოვანი სწავლის შედეგები უზრუნველყოფილი.

*აქვე უნდა ითქვას, რომ ექსპერტთა მიერ 1.2. ში შედეგების კორექტირების თაობაზე გაცემული რეკომენდაცია ნაწილობრივ გაზიარდა უნივერსიტეტის მიერ, რაც ამჟამინდელ სურათს გარკვეულწილად შეცვლის.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე თანდართული სასწავლო გეგმა ნათლად ასახავს პროგრამის სტრუქტურული ორგანიზების თავისებურებებს, რომლის ანალიზის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები უმეტესწილად ლოგიკურადაა დალაგებული და შინაარსობრივად ვითარდება (მაგ., მე 3 სემესტრში ჩანიშნული სავალდებულო საგნის- „წერის უნარ-ჩვევები 2“ წინაპირობაა მე-2 სემესტრში შეთავაზებული საგნები „კითხვის უნარ-ჩვევები 2“ და ინგლისური ენა B 1+, რომლებიც უზრუნველყოფენ წერის პროდუქციული უნარისთვის აუცილებელი ინფორმაციის დაგროვებას; ასევე, „პრეზენტაციის უნარ-ჩვევები“ ისწავლება მე 6 სემესტრში, რისთვისაც სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს C1-1 მოსამზადებელი კურსი მე 5 სემესტრში, რათა შეძლოს პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა პროფესიონალურ დონეზე შესაბამისი ლექსიკურ-სტრუქტურული ასპექტების დაცვით; აგრეთვე, იმისთვის რომ სტუდენტმა გაიაროს აკადემიური წერის კურსი, მას უკვე გავლილი უნდა ჰქონდეს ინგლისური ენა B2+, კითხვის უნარ-ჩვევები 3-4, რომ მისთვის კურსის სრული გააზრება შესაძლებელი იყოს. ინგლისური ენის მორფოლოგიის გასავლელად კი , მათ დახურული უნდა ჰქონდეთ ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა B2, კითხვის უნარ-ჩვევები 3,4- რომელიც ასევე უზრუნველყოფს იმ საკმარისი თეორიული ინფორმაციის მოგროვებას, რაც მორფოლოგიის კურსის უკეთ გაგებაში დაეხმარება სტუდენტს).

თუმცა, ერთეულ შემთხვევაში პროგრამის საერთო ლოგიკური ორგანიზების პრინციპი ექსპერტებისთვის ბუნდოვანი აღმოჩნდა. კერძოდ, 1) პროგრამაში მზარდი ნუმერაცია 1,1+2, და სხვ ძირითადად ემთხვევა კურსის კონტენტის შინაარსობრივ გართულებს, თუმცა კურსები „ტექსტის ინტერპრეტაცია 1 (პროზა/მოთხრობა)“ და „ტექსტის ინტერპრეტაცია 2 (დრამა და პოეზია)“, გულისხმობს არა შინაარსობრივ გრადაციას, არამედ სხვადასხვა ჟანრის ინტერპრეტაციას, რაც ინტერვიუზეც დადასტურდა. ამდენად, უფრო მართებული იქნებოდა შესაბამისი თავისებურება კურსების სახელწოდებაში ასახულიყო და არ მინიჭებოდა ნუმერაცია.

2) გარდა ამისა, პროგრამის სასწავლო გეგმაში გაწერილი თითოეული კურსის წინაპირობა იმდენად დეტალურადაა ჩაშლილი კურსისთვის მინიჭებული კოდების სახით, რომ ამგვარი ნუმერაცია გარეშე პირისთვის აღსაქმელად რთულია, და დიდი ალბათობით სტუდენტისათვისაც, რომელიც თავისუფლად უნდა ერკვეოდეს სასწავლო გეგმაში. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აკრედიტაციის ვიზიტმა დაადასტურა, პროგრამის პერსონალი და აკადემიური მენეჯერი მუდმივად ეხმარებიან სტუდენტებს პროგრამის სტრუქტურასა თუ სხვა ელემენტთან მიმართებით, ურჩევენ კონკრეტულ კურსებს, აწვდიან დეტალურ ინფორმაციას და სხვ, ექსპერტები მაინც თვლიან, რომ სასურველია, პროგრამის სასწავლო გეგმის გამარტივება ტექნიკურად.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, რაც მეტად მნიშვნელოვანი კონკრეტული დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ქართულენოვანია, მასში აქცენტირებულია ინტერნაციონალიზაციის საკითხები ინგლისურენოვანი ლიტერატურისა და გლობალურ კონტენტზე მორგებული კურსების (მაგ., „მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია 1 და 2“; „მე-20 საუკუნის დასავლური ლიტერატურის ისტორია“, „მე-20 საუკუნის ამერიკის ლიტერატურა“, „მე-20 საუკუნის ინგლისის ლიტერატურა“ და სხვ.) საშუალებით. გარდა ამისა, პროგრამის სტრუქტურის შემუშავებისას გამოყენებული იყო საზღვარგარეთ არსებული, მაგალითად, ჰელსინკისა (<https://www.helsinki.fi/en/faculty-arts/research/disciplines/languages/english-philology>) და ლაიდენის უნივერსიტეტების (<https://www.universiteitleiden.nl/en/education/study-programmes/bachelor/english-language-and-culture>)) გამოცდილება, რომლებიც დიდ ყურადღებას ამახვილებენ ფილოლოგიის კულტურისა და ხელოვნების კონტექსტში სწავლებაზე.

მოცემული პროგრამისა და მისი შემადგენელი კურსების სილაბუსის გაცნობის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ პროგრამა ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებსა და სფეროს თანამედროვე მიღწევებს. მასში ინტეგრირებულია თანამედროვე სწავლა/სწავლების მეთოდების (მაგ., შებრუნებული გაკვეთილი, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, მულტიმედიური სწავლება და სხვ.) საშუალებით. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, განსაკუთრებით ხაზგასასმელია პროგრამაში ინტეგრირებული მრავალი საინტერესო, მრავალფეროვანი და, შეიძლება ითქვას, საქართველოში დარგისათვის უნიკალური შინაარსის მატარებელი კურსი (მაგ., „ცხოვრების ძირითადი უნარ-ჩვევები“, „ფსიქოლოგიური ადაპტაციის უნარ-ჩვევები“, „ჯაზის ისტორია“, „ეთიკა“, „კრიტიკული აზროვნება“, „შეპირსპირებითი მითოლოგია“, „ამერიკული ხელოვნების ისტორია“ და სხვ.), რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტებისთვის ფართო ცოდნისა მიცემასა და მათთვის ესთეტიკურ- მხატვრული ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, გარდა ამისა, პროგრამაში თვალშისაცემია ინგლისური ენის პრაქტიკულ აპლიკაციაზე ორიენტირებული კურსების დომინანტურობა, რომლებსაც უძღვებიან ძლიერი, კომპეტენტური და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიონალი პედაგოგები. შესაბამისად, ექსპერტების აზრით, სწორედ სასწავლო შინაარსისა და ადამიანური რესურსის ამგვარი სინთეზი განაპირობებს პროგრამის უნიკალურობასა და ინდივიდუალურობას.

პროგრამის სააკრედიტაციოდ მომზადების პერიოდში განხორციელდა მისი შინაარსისა და სტრუქტურის მოდიფიცირება პროგრამის მეტ-ნაკლებად ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით შეიქმნა განვითარების კომისია, რომელიც დაკომპლექტდა ყველა მხარის წარმომადგენლით (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი), რომლებმაც მომნაწილეობა მიიღეს ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში. მაგალითად, ბოლო 2 სხდომაზე გადაწყდა კონკრეტული ცვლილების- პრაქტიკის კომპონენტის, საბაკალვრ ნაშრომისა და ჯგუფური პროექტისათვის სავალდებულო კომპონენტის სტატუსის მინიჭების საკითხი. გარდა ამისა, პროფესურასთან ინტერვიუმაც დაადასტურა მათი აქტიური ჩართულობა და მჭიდრო თანამშრომლობა პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში.

დაბოლოს, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი არამხოლოდ პროგრამით დაინტერესებული მხარეებისთვის არის ხელმისაწვდომი, არამედ საჯაროა და ნებისმიერ პირს აქვს მასზე წვდომა უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით,

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ან/და წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები. განვითარების კომინიის სხდომების ოქმები.
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის სტრუქტურა საჭიროებს მოდიფიკაციას კონკრეტული კურსებისთვის სავალდებულო და არჩევითობის სტატუსის გადანაცვლების სახით, ისე რომ პროგრამის სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში მაქსიმალურად იქნას ფილოლოგიის დარგისათვის მნიშვნელოვანი სწავლის შედეგები უზრუნველყოფილი; კერძოდ,
 - ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკის კომპეტენციის განმავითარებელი კურსები „ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა B1“, „ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა B1+“ და „ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა B2“ შეკვეცილი სახის ინტეგრირდეს პროგრამის სავალდებულო საგნების ბლოკში;
 - არჩევითი სასწავლო კურსებს „ენათმეცნიერების შესავალი“ და „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“ შეეცვალოს სტატუსი და გახდეს სავალდებულო.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის სსწავლო გეგმა გამარტივდეს ტექნიკურად და წინაპირობებში კურსებისთვის მინიჭებულ კოდებთან ერთად მიეთითოს კონკრეტული კურსების სახელწოდება სტუდენტების მიერ მის მარტივად აღსაქმელად.
- სასურველია, კურსების „ტექსტის ინტერპრეტაცია 1 (პროზა/მოთხრობა) ” და „ტექსტის ინტერპრეტაცია 2 (დრამა და პოეზია)“ სახელწოდება ჩანაცვლდეს შინაარსის ადეკვატური სახელწოდებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

სტრუქტურა და შინაარსი				
-----------------------	--	--	--	--

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო მიმართულება სტუდენტებს სთავაზობს 33 ძირითად სავალდებულო, 28 ძირითად არჩევით, 8 სავალდებულო თავისუფალ, 42 არჩევით თავისუფალ საგანს, ასევე კვლევით კომპონენტს (საბაკალავრო ნაშრომი ან ჯგუფური სამუშაო). წარმოდგენილი სასწავლო კურსები კომპლექსურია და მათი შინაარსი შეესაბამება ერთი მხრივ, მოცემული კურსების კონკრეტულ სწავლის შედეგებს, ხოლო , მეორე მხრივ, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სწავლების შედეგებს (მაგ., კურსის „პროექტზე დაფუძნებული სწავლება“ შინაარსი უზრუნველყოფს მისი შედეგის „თანამიმდევრულად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს და ადგენს სწავლის შემდგომ საჭიროებებს”, რაც, ასევე შეესაბამება სწავლის შედეგს „თავად გეგმავს თავისი შემდგომი პიროვნული და პროფესიული განვითარების გზას; დამოუკიდებლად და ეფექტურად მართავს თავის დროსა და რესურსებს” და სხვ.)

სასწავლო კურსები დალაგებულია გაცნობა (Introduction)-გაფართოება- გაღრმავება (Expansion)-განმტკიცების (Reinforcement) პრინციპით და თითოეული საგნის შინაარსი შეესაბამება სასწავლო პროგრამის უმეტეს შედეგს გრადაციის სხვადასხვა დონეზე; მაგალითად, ინგლისური ენის საგნები B1, B2, ინგლისური ენის ფონეტიკა 1, 2, ინგლისური ენის გრამატიკა B2, და სხვ.... ემსახურება ენობრივი კომპეტენციის სამიზნე C1+ დონეზე გამომუშავება/განმტკიცებას. თითოეული საგნის შინაარსი კი უზრუნველყოფს სხვადასხვა ტრანსფერული უნარების გამომუშავებას, ხოლო ისეთი საგნები, როგორცაა საბაკალავრო ნაშრომი თუ ჯგუფური მუშაობა, რომელიც მოიცავს ავტონომიურობის მაღალ დონეს, გადის ათივე შედეგზე.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECT სისტემის საფუძველზე და ოთხი წლის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, რათა მოიპოვოს ბაკალავრის ხარისხი. სემესტრულად სტუდენტი აგროვებს 30 კრედიტს, თუმცა ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, სტუდენტის კრედიტების რაოდენობა წელიწადში შეიძლება იყოს არანაკლები 60 კრედიტისა და არაუმეტეს 75 კრედიტისა. გარდა ამისა, სტუდენტს სავალდებულო კომპონენტებით შეუძლია 177 კრედიტის, ხოლო არჩევითი საგნებით 63 კრედიტის დაგროვება. სავალდებულო სასწავლო საგნების ფარგლებში სტუდენტი აგროვებს 9 კრედიტს პრაქტიკის კომპონენტით, 9 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომით ან 6 კრედიტს პროექტის არჩევის შემთხვევაში. გარდა ამისა, თავისუფალი კრედიტების (45) ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 24 სავალდებულო და 21 არჩევითი კრედიტი ინგლისური ფილოლოგიის საგნებდან და 12 კრედიტი არა მხოლოდ

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამიდან, არამედ უნივერსიტეტში არსებული სხვა აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებში კრედიტების გადანაწილების სისტემა ლოგიკურადაა გადანაწილებული და მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება საგნების შინაარსობრივ დატვირთვას. გარდა ამისა, სილაბუსით განსაზღვრული სწავლის თითოეული შედეგის მიღწევა ფასდება რუბრიკის მიხედვით. საილუსტრაციოდ, ინგლისური ენის შემსწავლელი საგნები, რომლებიც სავალდებულოა და 150 საათს მოიცავს (საკონტაქტო 68 სთ, დამოუკიდებელი- 82)- ექვსკრედიტიანია. არჩევითი საგანი, მაგალითად, ენის მეცნიერებები 1, რომელსაც 75 სთ (საკონტაქტო 35 სთ, დამოუკიდებელი 40 სთ) ეთმობა, მოიცავს 3 კრედიტს.

რაც შეეხება სილაბუსებში მითითებულ ძირითად სასწავლო ლიტერატურას. მასში ინგლისური ფილოლოგიის სფეროს თამანემდროვე ტენდენციების პარალელურად (მაგ., სასწავლო კურსის „მე-20 საუკუნის ინგლისის ლიტერატურა“ შინაარსის ასათვისებლად სტუდენტებისთვის აუცილებელია თანამედროვე მკვლევრების ლიტერატურული კრიტიკისა და რეცენზირებული სტატიების გაცნობა მულტიმედიური საშუალებების გამოყენებით.; ასევე პრაქტიკული ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები უმეტესად განახლებული ლიტერატურით ისწავლება) არის შემთხვევები, როდესაც ერთ-ერთ სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებულია 1973. 1986 წლის გამოცემები (მაგ., კურსების „ინგლისური ენის სტილისტიკა“, „ინგლისური ენის ლექსიკოლოგია“ და სხვ.), . ექსპერტები არავითარ შემთხვევაში არ აკნინებენ მოცემული ლიტერატურის მნიშვნელობას და მიიჩნევენ, რომ ისინი მართლაც ეფექტური იყო წლების განმავლობაში და მათ დადასტურებულად ჰქონდათ ე.წ. „ნაცადი“ წიგნების სტატუსი, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია და მუდმივად ვითარდება, თეორიები და პრინციპები სულ რომ არ შეცვლილიყო, იცვლება მიდგომები; გარდა ამისა, თეორიებისა და პრინციპების შინაარსის ენობრივი გაფორმებაც მათში, ბუნებრივია, საკმაოდ მოძველებული; დრომოჭმულია ასევე თეორიის ასათვისებლად მოყვანილი მაგალითები და ზოგადად მათი კონტექსტი, რაც მომავალ ინგლისური ენის ფილოლოგებს გარკვეულწილად ზღუდავს დროში. სივრცესა და ზოგადად თანამედროვე ინგლისური ფილოლოგიისათვის რელევანტური კვლევის შესაძლებლობებში. აქედან გამომდინარე, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მიზანშეწონილია, პროგრამის სავალდებულო ლიტერატურის გადახალისება და მაქსიმალურად დაკომპლექტება უახლესი გამოცემებით, ისევე, როგორც დარგის უახლესი კვლევების ამსახველი პუბლიკაციებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსის/საგნის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის სავალდებულო ლიტერატურის გადახალისება და მაქსიმალურად დაკომპლექტება უახლესი გამოცემებით, ისევე, როგორც დარგის უახლესი კვლევების ამსახველი პუბლიკაციებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების უფლება აქვს ზოგადი განათლების მქონე პირს. პროგრამაზე მიღების წინაპირობა კი ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური ზღვრის გადალახვაა. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი- გამოცდების ეროვნული ცენტრი-NAEC.

დაშვების წინაპირობებში გათვალისწინებულია პროგრამის სპეციფიკა. უფრო მეტიც, სტუდენტები უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ წერენ ტესტს, ე.წ. Placement Test, რომლის

შედეგების შედეგადაც ისინი დონეების მიხედვით ნაწილდებიან სხვადასხვა ჯგუფებში- A, B, C, D... თუმცა, ყველა ინგლისური ფილოლოგიის პირველკურსელი ინგლისურის შესწავლა/განმტკიცებას იწყებს B1 დონიდან და ოთხი წლის განმავლობაში ადის C1/C1+მდე. სტუდენტების სიძლიერის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფებში გადანაწილება ხელს შეუწყობს მასწავლებელს, დასაწყისიდანვე სწორად და ინდივიდუალურად შეარჩიოს სწავლების მეთოდები ჯგუფების სიძლიერის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურ ფილოლოგიაზე მოხვედრა შესაძლებელია მობილობითაც, რომელიც არ ზღუდავს ისეთი სტუდენტის მიღებას, რომელსაც ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურის გარდა სხვა უცხო ენა აქვს ჩაბარებული და შეიძლება ინგლისურის შესწავლა სრულიად დამწყები და დონიდან მოუწიოს, არადა პროგრამაში ინგლისური ენის კომპონენტი B1 დონიდან იწყება. ბუნებრივია, ამან შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს იმის შესაძლებლობა, რომ სტუდენტი ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ გავიდეს საბოლოო შედეგზე-C1. (CEFR); უფრო მეტიც, სტუდენტებთან საუბრისას გაირკვა, რომ ის სტუდენტებიც კი, რომლებიც მიმართულებაზე ერთიანი ეროვნულ გამოცდების- ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარების გზით მოხვდნენ, ისურვებდნენ ინგლისურის უფრო დაბალი დონიდან დაწყებას, რათა გაამტკიცონ არსებული ცოდნა. გარდა ამისა, ინტერვიუზე აღინიშნა. რომ წარსულში პროგრამიდან გადავიდა რამდენი სტუდენტი, იმის გამო, რომ მათ გაუჭირდათ პროგრამის დამლევა. ეს ფაქტები მიუთითებს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე B1 -ზე დაბალი დონის ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტების ჩარიცხვის შესაძლებლობაზე; შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ, საჭიროა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დამატებით განისაზღვროს ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაში მინიმალური ქულობრივი ბარიერი, რათა მაქსიმალურად იქნას პროგრამის ათვისება უზრუნველყოფილი მითუფრო მაშინ, როცა პროგრამის სამიზნე ენობრივ კომპეტენციად განსაზღვრულია მაღალი C1+ დონე და მიუხედავად არგუმენტირებულ პოზიციაში ხაზგასმული მრავალფეროვანი ექსტრაკურსულური აქტივობებისა, პროგრამა მაინც ქართულენოვანია, რაც ამცირებს სტუდენტთა მიერ ინგლისურენოვან გარემოში ბუნებრივად ინტერაქციისა და დიდწილ ინგლისურენოვან მასალასთან მუშაობის შესაძლებლობებს და ამ გზით ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესებას. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ვფიქრობთ, პროგრამის სამიზნე ენის დადასტურების მიზნით, კვლავ აქტუალურად რჩება პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ეროვნულ გამოცდაზე თუნდაც საშუალო ქულობრივი ბარიერის დაწესება.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულება განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, მისი მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

პროგრამაზე დაშვება სამართლიანია. მასზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სავსებით შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; პროგრამაზე ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დაგეგმილ შემთხვევაში. მაგალითად, ისეთ შემთხვევაში თუ სტუდენტი უცხოელია (ანუ მას საშუალო განათლება უცხო ენაზე აქვს მიღებული), მან უნივერსიტეტში ჩაბარებისას უნდა წარმოადგინოს ინგლისურის დონის დამამტკიცებელი სერთიფიკატი. თუმცა, სასურველი სერთიფიკატი და სასურველი ქულა არ არის დაკონკრეტებული. მოცემული დაშვების წინაპირობის შინაარსსა და შეწავლის შედეგებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფს აქვს კონკრეტული მოსაზრება. „ინგლისური ენის დონის დამამტკიცებელი სერთიფიკატი“ დეტალიზაციის გარეშე ბუნდოვანია და ჰიპოთეტურად გულისხმობს, ვთქვათ, A1 ან A2 ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტის ჩარიცხვას, რომელსაც მხოლოდ B1 დონიდან შეუძლია სწავლის გაგრძელება. საქმე ისაა, რომ დღესდღეობით საერთაშორისოდ აკრედიტებული სერთიფიკატებიდან (მაგ., PET, FCE, IELTS, TOEFL, Aptis და სხვ.), ზოგი მინიმალური

ბარიერის გადალახვით ადასტურებს კონკრეტულ დონეს (მაგ., PET=B1; FCE=BE და სხვ), მაშინ, როცა სხვებს დონისა თუ ქულის მითითება სჭირდება (მაგ., ELTS-ის ბენდი/დონე 6+დაახლ. = B1; TOEFL Ibt-ის 42 ქულა დაახლ= B1).

აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ საჭიროა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ +სერთიფიკატში, დაკონკრეტდეს B1 დონე ან უნივერსიტეტმა ჩაატაროს B1 დონის დამადასტურებელი შიდა გამოცდა ისეთი სტუდენტებისთვის, ვისაც ეროვნული გამოცდები არ ჩაუბარებია.

ინფორმაცია საჯაროა და ვებ-გვერდის საშუალებით ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია საჭირო ინფორმაციის მიღება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

პროგრამის სრულფასოვნად ათვისების მიზნით, რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დამატებით განისაზღვროს

- ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაში მინიმალური ქულობრივი ბარიერი.
- უცხოელი სტუდენტის ჩარიცხვისას მოთხოვნად ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატში B1 დონე. ასევე განიხილება უნივერსიტეტის მიერ ინგლისურ ენაში B1 დონის დამადასტურებელი შიდა გამოცდის ორგანიზება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, პროგრამისა და მასზე თანდართული სილაბუსების, ასევე ინტერვიუს ანალიზმა აჩვენა, რომ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამისთვის მნიშვნელოვანია თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკული უნარების გამომუშავება. ამისათვის პროგრამას დაემატა რამდენიმე საგანი, მათ შორის „პრაქტიკა“ (სავალდებულო, 9 კრედიტი-225 სთ), რომელიც ითვალისწინებს როგორც თვითონ შიდასაუნივერსიტეტო საქმიანობას, ისე სახელმწიფო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ენის სასწავლებლებსა და ცენტრებში პრაქტიკის გავლას. კურსის ფარგლებში, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების, მაგ., მთარგმნელობითი პრაქტიკა, მასწავლებლობა და ა.შ.. პრაქტიკის ობიექტებთან (მაგ., ეროვნული მუზეუმი, ერუდიტი, თამარიონი, ლოგოსი, მთიები, ხელოვნების სასახლე, ქართულ-ამერიკული სკოლა) გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები და მათი დანართები ითვალისწინებს პრაქტიკის მიზანს, შედეგს და ხანგრძლივობას., თუმცა არ მოიცავს კონკრეტულ ინფორმაციას სტუდენტების რაოდენობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობდა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესის უკეთ დაგეგმვას.

როგორც კონტრაქტებშია მითითებული, მიმღები დაწესებულებებში პრაქტიკული კურსის ხანგრძლივობა, დაწყებისა და დასრულების ვადები ემთხვევა უნივერსიტეტის შესაბამის სასწავლო სემესტრის ვადებს და ისინი უზრუნველყოფენ სტუდენტთა პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვასა და შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევების გადრმავებას. გარდა ამისა, პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტებს ხელმძღვანელობს დეკანის მიერ არჩეული დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შესაბამისი რუბრიკის დახმარებით აფასებს სტუდენტების საქმიანობას. რუბრიკა ითვალისწინებს დღიურის შევსებასა და პრეზენტაციას, რომელიც ფასდება ყოველკვირეულად და მოიცავს პრაქტიკული საქმიანობის დეტალურ აღწერასა და რეფლექსიას. სტუდენტის ყოველკვირეული შეფასება შეადგენს 4 ქულას, რომლიდანაც 2 ქულა ეთმობა დღიურის შევსებას, 2 კი გამოკითხვას. საბოლოო ჯამში სტუდენტი სემესტრის განმავლობაში აგროვებს 60 ქულას (მინ. დადებითი შეფასება 30 ქულა). სემესტრის ბოლოს, დასკვნითი გამოცდის სახით, სტუდენტს აქვს დაცვა- პრეზენტაცია, რომელსაც პრაქტიკის ხელმძღვანელი აფასებს 40 ქულიდან. შეფასებისას ყურადღება ექცევა ანგარიშის სტრუქტურასა და თანმიმდევრობას, პრაქტიკის ობიექტის საქმიანობის ცოდნას, შედეგებს, პროფესიულ ტერმინოლოგიის გამოყენებასა და პრეზენტაციის პრეზენტაბელობას.

პრაქტიკის მიმართულებები, როგორც აღინიშნა, მრავალფეროვანია- შიდასაუნივერსიტეტო სწავლება, ერთვებიან სასკოლო კონფერენციებსა და თემატური ღონისძიებების მომზადებაში, საელჩოებში, ტურისტულ სარეკლამო და საინფორმაციო სააგენტოებში ადგენენ საჭირო დოკუმენტაციას, არედაქტირებენ მასალას, ასისტენტობას უწევენ ნოტარიუსებს, თარგმნიან სამეცნიერო ლიტერატურას და ა.შ. მაგალითად, ისეთი პრაქტიკის მენტორობა, რომელიც მოიცავს თარგმანს, შეუძლია ისეთ კვალიფიციურ პირს, რომელიც უნივერსიტეტში ასწავლის თარგმანის თეორიასა და პრაქტიკას. შიდასაუნივერსიტეტო თუ ცენტრებში სწავლების მენტორობა ასევე შეეძლება, მაგალითად, კვალიფიციურ პირს, რომელიც ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში უძღვება კურსს „ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია“.

როგორც შრომითი ბაზრის კვლევაში გამოიკვეთა, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის პროგრამების ინტერდისციპლინური შინაარსიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულები სხვადასხვა მიმართულებებით საქმდებიან. მათ შორის აღსანიშნავია,

რომ ხშირია ისეთი მიმართულებებით დასაქმება, რომელი უნარებიც სტუდენტებმა „პრაქტიკის“ გავლის შედეგად გამოიმუშავეს- მაგალითისთვის, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტში შიდა საუნივერსიტეტო პრაქტიკის შემდეგ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმება, კულტურისა და ხელოვნების ერთეულები და დაწესებულებები (ხელოვნების სასახლე, ეროვნული მუზეუმი...), საგანმანათლებლო დაწესებულებები (IB მთიები, თამარიონი, ერუდიტი, აკადემია ლოგოსი) და ა.შ.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონფერენციების გამართვით ხელს უწყობს სტუდენტებს რომ გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარები. უნივერსიტეტში იმართება შემდეგი პროექტები: ენისა და გენდერის კვლევა, სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოებების, პროზისა და პოეზიის თარგმნა. სტუდენტებს საშუალება აქვთ დაესწონ სტუდენტურ კონფერენციებსა და ვებინარებს, რომელთა მიზანია მეცნიერული კვლევის განვითარების ხელშეწყობა (მაგ., Language and Cognitive Sciences Research Institute-ის მიერ წარმოებული ვებინარების სერია). გარდა ამისა, იმართება შემოქმედებითი საღამოები და კონკურსები, მაგ., ორენოვანი პრეზენტაციების კონკურსი. შედეგად, სტუდენტებს აქვთ თანაავტორობით გამოშვებული სამეცნიერო ნაშრომები, ალმანახები, ელექტრონული ჟურნალები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- მემორანდუმები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში მითითებული იყოს სტუდენტთა სამიზნე რაოდენობა, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ პროგრამისა და მეორე მხრივ, თავად პრაქტიკის განმახორციელებლისთვის პროცესის უკეთ დაგეგმვას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული	■	□	□	□

უნარების განვითარება				
-------------------------	--	--	--	--

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის თუ საგნის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს, საგანსა და მის შინაარსს და უზრუნველყოფს საგნის მიზნების მიღწევას. მაგალითად, ინგლისური ენის საგნების (B1+, B2, C1...) სწავლებისას, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს კითხვის, წერის, მოსმენისა და საუბრის უნარჩვევების განვითარებას შესაბამის დონეებზე, ლექციებზე აქცენტი უმთავრესად კეთდება შესაბამის მეთოდებზე- დისკუსია-დებატები, მულტიმედიაური მასალების გამოყენება, წერითი მუშაობა, პრეზენტაცია, მოპოვებული მასალის კრიტიკული წაკითხვა/გააზრება და ა.შ. თეორიული საგნები, მაგალითად, სტილისტიკა, ენის ისტორია, მოიცავენ ისეთ სწავლების მეთოდებს, რომლებიც მნიშვნელოვანია თეორიული ცოდნის გაღრმავებისთვის- ინფორმაციის ინტერპრეტაცია, გონებრივი იერიში, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა, ვერბალური ახსნა-განმარტება და ა.შ. რაც შეეხება კვლევით კომპონენტებს, მაგალითად, ჯგუფური კვლევითი პროექტი, საბაკალავრო ნაშრომი, მოიცავს წიგნზე მუშაობას, წერით მუშაობას, დამოუკიდებელ და გუნდურ მუშაობას, ანალიზსა და სინთეზს. თითოეული ეს მეთოდი უზრუნველყოფს სტუდენტების სწავლის პროცესში ჩართულობასაც და ავტონომიურ სწავლებასაც. შესაბამისად, სწავლების მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებსა და საგნების სპეციფიკას.

უნივერსიტეტი გამოიჩინა ელექტრონული რესურსებითაც (lms, Google Classroom), მათ შორის სტუდენტებს უფასო და სრული წვდომა აქვთ ისეთ წამყვან სამეცნიერო საიტებზე, როგორებიცაა HeinOnline, Ebsco, Elsevier. უფრო მეტიც, სტუდენტებს საიტებზე შესვლა შეუძლიათ არა მხოლოდ ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, არამედ სახლიდანაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	■	□	□	□

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ წინასწარ გაწერილი პროცედურების მიერ. როგორც სტუდენტებთან საუბრისას გაირკვა, თითოეულ სტუდენტს საგნის დაწყებამდე წვდომა აქვს საგნის სილაბუსზე, რომელშიც დეტალურადაა მოცემული თითოეული კომპონენტის შეფასების სქემა. შესაბამისად, შეფასება გამჭვირვალეა ყველა სტუდენტისთვის.

შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები განსხვავდება საგნების მიხედვით და შეესაბამება საგნების სპეციფიკას. მაგალითად, ისეთი საგნები (ინგლისური B1-C1/2), რომლებიც მოიცავს ენის ყველა უნარს- წერას, კითხვას, საუბარსა და მოსმენას, სემესტრის განმავლობაში აფასებს ყველა უნარს, როგორც ტესტური, ისე პრეზენტაციის სახით. გარდა ამისა, თეორიული საგნები, როგორცაა, მაგალითად, ტექსტის ლინგვისტიკა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტური ანალიზის ძირითადი ცნებების გაცნობა და ანალიზი, აცნობს გამოჩენილი ამერიკელი და ბრიტანელი მეცნიერების შრომებს და საშუალებას აძლევს სტუდენტს განივითაროს კვლევითი უნარჩვევები. შესაბამისად, გარდა ყოველკვირეული შეფასებისა (2 ქულა), სტუდენტები ფასდებიან შუალედური გამოცდებით (ორი თეორიული თემა-20 ქულა), ასევე, სტუდენტი კურსის გავლის შემთხვევაში, ვალდებულია დაამუშაოს ერთი თეორიული საკითხი და გაიტანოს კონფერენციაზე ან ვებინარზე (20 ქულა). დასკვნითი გამოცდა კი 40 ქულიანია და მოიცავს 4 თეორიულ საკითხს. შესაბამისად, თეორიული საკითხების დამუშავება და კონფერენციაზე/ვებინარზე წარდგენა ხელს უწყობს შესწავლილი თეორიული მასალის დამატებით გააზრებას და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

სტუდენტები ყოველკვირეულად იღებენ შეფასებასა და უკუკავშირს ლექტორისგან შიდასაუნივერსიტეტო ოფიციალური ელექტრონული პორტალის მეშვეობით. იმავე ელექტრონულ პორტალზე შესაძლებელია მასალებისა და სილაბუსების ატვირთვა და ლექტორისა და სტუდენტის კორესპონდენცია. ამავე მიზნით, ლექტორები იყენებენ Google Classroom-ს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი აქვს პლაგიატის შესამოწმებელ პროგრამა.

ასევე, როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, ლექციაზე ხდება შეფასების შედეგების ანალიზი. ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც საჩივრდება ქულა, პროცესი არის გამჭვირვალე და გადაწყვეტილებას იღებს სხვა შემფასებელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები
- სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემა/პორტალი
- ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, ათვისების პროგრამის შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შესაბამისი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისაგან რეგულარულად იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას. როგორც ვიზიტის ფარგლებში სტუდენტთა ინტერვიუდან გამოიკვეთა, ამ მიმართულებით დაწესებულებაში რეგულარულად ტარდება საინფორმაციო ტიპის შეხვედრები არსებულ სამიზნე ჯგუფებთან.

აღსანიშნავია ასევე ის, რომ აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტაციებს რაც სტუდენტს აძლევს საშუალებას მიიღოს საჭირო ინფორმაცია მისთვის საჭირო საკითხზე. ინფორმაცია კონსულტაციის შესახებ ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსში და, შესაბამისად, სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალურად ან აკადემიური მენეჯერის დახმარებით შეათანხმოს საკონსულტაციო საათები ლექტორებთან. გასაუბრების პროცესში პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა არ შექმნიათ. მეტიც როგორც უნივერსიტეტში, ისე ელექტრონულ რეჟიმშიც აკადემიური პერსონალი სტუდენტებს უწევს სათანადო კონსულტაციასა და დახმარებას.

ამასთან, უნივერსიტეტში მუშაობს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმა, რომლის მეშვეობით სტუდენტები ეცნობიან სასწავლო პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებს. სტუდენტებს აქვთ წვდომა უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების და სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების (მაგალითად, დაგეგმილი კონფერენციები, შიდა საუნივერსიტეტო და სხვადასხვა ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიები, გაცვლითი პროგრამები, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტები / ღონისძიებები და სხვ.) შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე რაც მარტივად ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის და, ასევე, ინფორმაცია ვრცელდება საკონსულტაციო შეხვედრის ე.წ. „დეკანის საათის“ დროს.

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტების დასაქმებას. ამაზე პასუხისმგებელი კი არის უნივერსიტეტში მოქმედი კარიერის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის კარიერული განვითარების მხარდაჭერას და სტუდენტების ინფორმირებას (კონსულტაციის, ელ-ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან სხვა გზავნილების საშუალებით) კონკრეტული ვაკანსიების შესახებ, დამსაქმებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის გავრცელებას სტუდენტებს შორის, აგრეთვე, შრომის ბაზარზე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემების შეგროვებას და შემდგომ, კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზებში ასახვას. აღსანიშნავია, კარიერის სამსახურის მიერ დამსაქმებლებთან მიზნობრივი შეხვედრების მოწყობა რაც გულისხმობს დასაქმების ფორუმების ორგანიზებასა და ამ ღონისძიებასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინირებას.

როგორც ინტერვიუდან და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განვითარებისა და შეფასების პროცესში. პერიოდულად ტარდება უშუალოდ პროგრამის შიდა გამოკითხვა სტუდენტების

მხრიდან, რომლითაც ფასდება საგანმანათლებლო პროგრამა და მისი უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალურ ტექნიკური რესურსები.

უნივერსიტეტს ასევე შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ნაწილში, რაც გულისხმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე. ეს კი თავისთავად თანაბრად უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პირობებს, რომლის ფარგლებშიც ყველა სტუდენტისთვის შესაძლებელია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის მიღება. ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამჟამად მსგავსი საჭიროებების მქონე სტუდენტი არ ყავთ.

ხაზგასასმელია, რომ მოცემული პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ მონაწილეობა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მიერ დაგეგმილ სტუდენტთა ადგილობრივ ან საერთაშორისო კონფერენციებსა და შეხვედრებში, როგორც იყო „განჭვრიტე მომავალი, აუწყე ფეხი ტექნოლოგიებს“, „მომავალი ლინგვისტიკის პრაგმატული კვლევა“ და სხვა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პანდემიის პერიოდში არ შეჩერებულა მეცნიერული კვლევის ხელშეწყობა და სხვადასხვა თემატიკაზე ჩატარდა ვებინარები და კონფერენციები სტუდენტთა ჩართულობით, მაგალითად, „მიანმარის ქეისის მულტიმოდალური ანალიზი“; „მეტა: მულტი მოდალური ანალიზი“; „სემიოტიკის მე-11 სამეცნიერო კონფერენცია“ და ა.შ.

აქვე, ხელმისაწვდომია გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის დახმარებით. როგორც დოკუმენტაციის განხილვისას და ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუდან გაირკვა მოცემული საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები ჩართულნი იყვნენ 2019-2022 წელს არსებულ გაცვლით პროგრამებში მოცემული მიმართულებით, ჯამში 3 სტუდენტი იმყოფებოდა სხვადასხვა უნივერსიტეტებში (კასტილია ლა მანჩას, ტორ ვერგატას უნივერსიტეტები) აღნიშნულ წლებში, 2022-2023 წელს კი 1 სტუდენტის გაგზავნა იგეგმება კორეის სუნგსინის ქალთა უნივერსიტეტში. ამასთან დაკავშირებით, ინტერვიუმ ცხადყო, რომ ამ ეტაპზე თავად სტუდენტები არ ამჟღავნებენ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის დიდ სურვილს. მიზეზად, ინტერვიუზე ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ კონკრეტულად მის შემთხვევაში გაცვლითი პროგრამა მისი პროფესიისთვის ნაკლებადშესაბამისი იყო და ელოდებოდა უფრო სასურველ გაცვლით პროგრამას. აქედან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა გაცვლით პროგრამებში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა, მათთვის არჩევანის გამრავალფეროვნება და ცოდნის უცხოეთში მიღებული გამოცდილებით გამდიდრება.

ასევე ყურადსაღებია უნივერსიტეტში მოქმედი პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა და არსებული მემორანდუმები სხვადასხვა დაწესებულებებთან („ლოგოსი“; „მთიები“ და სხვ.), რაც უზრუნველყოფს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და პროფესიული უნარ-ჩვევების გაღრმავებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საკონსულტაციო მომსახურებები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სულაბუსები;
- ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობები;

- კარიერის სამსახურის ფუნქციები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სამეცნიერო საქმიანობა/კონფერენციები/ღონისძიებები;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტები ს რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისა და დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს, გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოცდილება და კვალიფიკაცია შეესაბამება იმ სასწავლო კურსების მოთხოვნებს, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამაში.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე თითოეული პირის - აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით (სამუშაოს აღწერილობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პერსონალის პირადი საქმეები და ა. შ.). უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულება“, სადაც განსაზღვრულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები და დასაქმების პროცედურა. დოკუმენტში გაწერილი წესები შეესაბამება „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს. დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი კონკურსის პირობები, დოკუმენტაციის მიღების პროცედურები, კონკურსანტთა შეფასების ეტაპები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსს ბრძანებით აცხადებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი. ბრძანებით განისაზღვრება პროფესორის, ასოცირებული

პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის საკონკურსო ადგილების რაოდენობა სპეციალობების მიხედვით. ბრძანება ქვეყნდება საჯაროდ. კონკურსთან დაკავშირებული ყველანაირი ინფორმაცია გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) და მოწვეული პერსონალის შერჩევა /დანიშვნის პროცედურა და პირობები. ასევე გაწერილია დამატებითი საკონკურსო პირობები, საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ მათთვის ეს პროცედურები, რეგულაციები არის გამჭვირვალე, სამართლიანი და იცავს მათ თანასწორუფლებიანობის პრინციპებს.

წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისა და დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური (აკადემიური პერსონალი) რესურსი შესაბამისობაშია პროგრამის სპეციფიკასთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის მიღწევას. პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით, რაც ასახულია მათ CV-სა და პირად საქმეებში. ამავდროულად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგებით დადგინდა, რომ პერსონალის უმრავლესობა უნივერსიტეტში საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ასახელებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. მათი ჩართულობა გულისხმობს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, პროგრამის სტრუქტურის, პროგრამის კომპონენტების სემესტრული განაწილების, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების, თითოეული სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების შეფასებას, აღნიშნულთან დაკავშირებული რეკომენდაციებისა და რჩევების პროგრამის ხელმძღვანელისთვის გაზიარებას. მათთან ინტერვიუებით დასტურდება, მათი რეკომენდაციები და უკუკავშირი არაერთხელ იქნა გათვალისწინებული და ასახული პროგრამის შესაბამის დოკუმენტაციაში. მაგ. ლექტორების რეკომენდაციით სავალდებულოდ იქნა გათვალისწინებული პროგრამაში პრაქტიკა, დამოუკიდებელი კომპონენტი; ასევე ჯგუფური პროექტი გახდა სავალდებულო; მოხდა წერის კურსის დამატება (დასტურდება ინტერვიუებით და ოქმებით).

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 აფილირებული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი და 23 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა - 24/23, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან 24/ 149, აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან 47/ 149 და პერსონალის დენადობის დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი შესაბამისად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისა და დატვირთვის განაწილებას საფუძვლად უდევს უნივერსიტეტში აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი (სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია). აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვაში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტებთან საკონსულტაციო საათები.

აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტი, პროგრამის სტუდენტთა საერთო რაოდენობა (149 სტუდენტი), ქმნის შესაბამის თანაფარდობას პროგრამაში ჩართულ ადამიანურ რესურსთან. შესაბამისი მონაცემი კი ქმნის შესაძლებლობას, უზრუნველყოფილი იქნას საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი განხორციელება.

პროგრამის ჰყავს ხელმძღვანელი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მას გააჩნია, პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი აკადემიური და პროფესიული გამოცდილება. იგი გახლდათ ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციისა და ბრიტანეთის საბჭოს ერთობლივი პროექტის „ინგლისური ენის საუნივერსიტეტო კურიკულუმის გაუმჯობესება“ ტრენერი და კრებულის თანაავტორი; ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია „წერის ჩვევების ჩამოყალიბება, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსის ტრენერი; ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციისა და ბრიტანეთის საბჭოს

პროექტის „ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია“ კოორდინატორი, კრებულის თანაავტორი და ტრენერი; საქართველოს განათლების სამინისტროსა და „ღია საზოგადოება საქართველოს“ ერთობლივი პროექტის ინგლისური ენის ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში იგი არის ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითადი საკონტაქტო პირი, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალუა მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.

იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, რაც დასტურდება მასთან ინტერვიუს შედეგად. იგი ჩართულია პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში. სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას კურიკულუმის შესახებ, უწევს კონსულტაციას სასწავლო პროცესის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (საჭიროების შემთხვევაში) ოპტიმალურად დაგეგმვის და სხვ. საკითხებთან დაკავშირებით. პროგრამის სტუდენტები სისტემატურ კონსულტაციებს იღებენ პროგრამის ხელმძღვანელისგან პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ხოლო საორგანიზაციო საკითხებში მათ ეხმარებათ სკოლის დეკანი და პროგრამის აკადემიური მენეჯერი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁵	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁶	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	47	15	7	24

⁵ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- პროფესორი	4	1		4
- ასოცირებული პროფესორი	20	14		20
- ასისტენტ-პროფესორი	-			
- ასისტენტი	-			
მოწვეული პერსონალი	23	8	3	-
სამეცნიერო პერსონალი				-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- უნივერსიტეტში აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი (სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია);
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულება და პირადი საქმე;
- აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუ

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	■	□	□	□

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და

საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის განვითარებასა და ხელშეწყობასთან ერთად, ორიენტირებულია აკადემიური პერსონალის შეფასებასა და განვითარების ხელშეწყობაზე. შეფასების მიზანია - ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის თანამშრომლებს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში, მოახდინოს ინდივიდუალური და საუნივერსიტეტო მიზნებისა და ამოცანების თანხვედრა; განსაზღვროს უნივერსიტეტის პერსონალის მიერ სწავლებისა და კვლევის პროცესში დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები.

უნივერსიტეტი რეგულარულად ახდენს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევას. აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს აფასებს როგორც ადმინისტრაცია, ისე სტუდენტი. მათ შემუშავებული აქვთ სპეციალური კითხვარები სტუდენტის მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების მიზნით. კითხვარი ანონიმურია. გამოკითხვის პროცესში სტუდენტები აფასებენ ლექტორის მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებულ სწავლების მეთოდებს, გამოყენებულ ლიტერატურას, სასწავლო კურსის მსვლელობის სილაბუსთან შესაბამისობას, სასწავლო კურსით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას, შეფასების სისტემის ადეკვატურობას და ა.შ. მონაცემების გაანალიზებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი და გასცემს რეკომენდაციებს თითოეულ პედაგოგთან ინდივიდუალურად. პანდემიამდე ხორციელდებოდა ლექციებზე ურთიერდასწრება საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის მიზნით. თუმცა კოლაბორაციური დაგეგმვა და ერთობლივი სამუშაო შეხვედრები დღესაც მიმდინარეობს. საგანმანათლებლო საქმიანობის შეფასება, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების მიხედვით ხორციელდება, ხოლო მისი განვითარება ახალი სასწავლო კურსების შემუშავებისა და დანერგვის, სასწავლო კურსების მოცულობის, შინაარსის, შეფასების სისტემის მიღწეული

შედეგების მიხედვით, რომელიც სტუდენტთა გამოკითხვისა და მონიტორინგის შედეგებითაც დასტურდება.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მათ სამეცნიერო პროდუქტიულობას. სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება კვლევის შედეგების გამოქვეყნებით და პროფესიულ წრეებში მათი გავრცელებითა და დანერგვით, ასევე კვლევის განვითარებისთვის საჭირო რესურსების მოძიება/მოპოვების შედეგების მიხედვით ხორციელდება. ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, დეკანის მიერ შეიძლება მოწვეულ იქნეს დროებითი პროფესიული შეფასების კომისია, რომლის შემადგენლობაშიც თანამდებობის მიხედვით შედიან: დეკანი, სკოლაში მოქმედი ყველა კვლევითი ცენტრის/ინსტიტუტის დირექტორი, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. კომისიის შემადგენლობაში ასევე შეიძლება გათვალისწინებული იქნეს დარგის აღიარებული სპეციალისტი/სპეციალისტები. აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგების გათვალისწინებით სკოლის დეკანი უფლებამოსილია, უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე დააყენოს წინადადება: შესაბამის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების გადასინჯვის თაობაზე; შესაბამის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე; შესაბამის პერსონალთან მიმართებაში წახალისების ღონისძიებების, მათ შორის ბონუსის სისტემის გამოყენების შესახებ.

აღსანიშნავია რომ, პერსონალის შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების და მისი აღსრულების პროცესში, შეტანილი წვლილი უნივერსიტეტის განვითარებაში, ასევე ხდება შეფასება სოციალურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობისა და პროფესიის, ზოგადად ქვეყნის განვითარებაში, უნივერსიტეტის საქმიანობის ცნობადობის გაზრდაში (ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე) შეტანილი წვლილის გათვალისწინება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში ჩართულობას.

უნივერსიტეტში შემუშავებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა, რის შედეგებსაც აქტიურად იყენებს მათი პროფესიული განვითარებისთვის. ამ შეფასების შედეგების საფუძველზე ხორციელდება პერსონალის დაწინაურება და წახალისება. უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებაზე. იგი კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, უნივერსიტეტში თანამედროვე ცოდნასა და ხარისხზე ორიენტირებული კვლევის განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას და სასწავლო პროცესთან მის ინტეგრაციას; უნივერსიტეტში სამეცნიერო პოლიტიკის დაგეგმვასა და მართვას. კერძოდ, ფინანსურად წახალისებულია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება, აგრეთვე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, წიგნებისა და სახელმძღვანელოების შექმნა. აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისა და სამეცნიერო საქმიანობის წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში დანერგილია სამეცნიერო აქტივობების (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, პუბლიკაციების გამოქვეყნება სამეცნიერო ჟურნალებში) დაფინანსების მექანიზმი. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო კონფერენცია და იბეჭდება მოხსენებათა კრებული, პერსონალი აქტიურად მონაწილეობს კონფერენციებში და აქვეყნებს პუბლიკაციებს საერთაშორისო ჟურნალებში; უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება ტრენინგები და კონფერენციები აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ენისა და კოგნიტიური მეცნიერებების

ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციები: რელევანტობის თეორიისადმი მიძღვნილი ლინგვისტური კონფერენცია, 2018; ღია მეცნიერების დღისადმი, მიძღვნილი ლინგვისტური კონფერენცია: ენა, შემეცნება, ტვინი, 2018; მეცნიერების დასაცავად ფარგლებში ჩატარებული საერთო საუნივერსიტეტო კონფერენცია: განჭვრიტე მომავალი, აუწყე ფეხი ტექნოლოგიებს, 2019; კვლევითი მეთოდების კონფერენცია: თეორიები, მეთოდები და მონაცემთა ანალიზი, 2019; საერთაშორისო კონფერენცია სტრუქტურა / ფუნქციის ურთიერთმიმართება, 2021; საერთაშორისო კონფერენცია, მომავალი ლინგვისტიკის პრაგმატული კვლევა, 2021; საერთაშორისო კონფერენცია, კომპიუტერული მეცნიერებები: მომავლის განჭვრეტა, 2021; საერთაშორისო კონფერენცია, საერთაშორისო ურთიერთობების მომავალი, 2022; საერთაშორისო კონფერენცია, ენის მეცნიერული კვლევები, 2022; საერთაშორისო კონფერენცია, ჰენრი კისინჯერი და ახალი მსოფლიო წესრიგი, 2022. საერთაშორისო კონფერენცია, 21-ე საუკუნის მეცნიერება და ტექნოლოგიები, 2022.

საერთაშორისო კონფერენციების ლინკებიც გვიდასტურებს პერსონალის აქტიურ ჩართულობას:<https://checklink.mail.ru/proxy?es=xB5ypMQYMgt7Ad%2B%2FqnmZcZ48q%2Fjljas2nDSXf0CzMk0%3D&egid=aeMEEBvI7AXt2sBBms98SW33ZWTsAzbXznlqTQ1T2Wg%3D&url=https%3A%2F%2Fclick.mail.ru%2Fredir%3Fu%3Dhttps%253A%252F%252Flinguistlist.org%252Fissue%252F32%252F32-1406%252F%26%3Dswm%26r%3Dhttp%26o%3Dmail%26v%3D3%26s%3D48a2b3410d152033&uid=16703362161359814160&from=teonakhvedelidze%40gau.edu.ge&to=ketijincharadze%40gau.edu.ge&email=kate74%40list.ru>

<https://checklink.mail.ru/proxy?es=xB5ypMQYMgt7Ad%2B%2FqnmZcZ48q%2Fjljas2nDSXf0CzMk0%3D&egid=aeMEEBvI7AXt2sBBms98SW33ZWTsAzbXznlqTQ1T2Wg%3D&url=https%3A%2F%2Fclick.mail.ru%2Fredir%3Fu%3Dhttps%253A%252F%252Fwww.gau.edu.ge%252Fka%252Fresearch%252Flanguage-and-cognitive-sciences%252Fconference%26%3Dswm%26r%3Dhttp%26o%3Dmail%26v%3D3%26s%3D2bdc4e4bc1b6dbff&uid=16703358032081774952&from=teonakhvedelidze%40gau.edu.ge&to=ketijincharadze%40gau.edu.ge&email=kate74%40list.ru>

<https://www.gau.edu.ge/en/news-events/news/linguistic-webinars-15-06-22>

<https://checklink.mail.ru/proxy?es=xB5ypMQYMgt7Ad%2B%2FqnmZcZ48q%2Fjljas2nDSXf0CzMk0%3D&egid=aeMEEBvI7AXt2sBBms98SW33ZWTsAzbXznlqTQ1T2Wg%3D&url=https%3A%2F%2Fclick.mail.ru%2Fredir%3Fu%3Dhttps%253A%252F%252Fwww.gau.edu.ge%252Fen%252Fnews-events%252Fnews%252F-international-student-conference-1-06-22%26%3Dswm%26r%3Dhttp%26o%3Dmail%26v%3D3%26s%3Dff8bf1c447765f22&uid=16703356710992035064&from=anano.tsitsvidze%40gau.edu.ge&to=ketijincharadze%40gau.edu.ge&email=kate74%40list.ru>

<https://www.gau.edu.ge/en/news-events/news/6th-international-scientific-conference-21-12-2021>

<https://checklink.mail.ru/proxy?es=xB5ypMQYMgt7Ad%2B%2FqnmZcZ48q%2Fjljas2nDSXf0CzMk0%3D&egid=aeMEEBvI7AXt2sBBms98SW33ZWTsAzbXznlqTQ1T2Wg%3D&url=https%3A%2F%2Fclick.mail.ru%2Fredir%3Fu%3Dhttps%253A%252F%252Fwww.gau.edu.ge%252Fen%252Fnews-events%252Fnews%252F6th-international-scientific-conference-future-trends-international-relations-12-01-22%26%3Dswm%26r%3Dhttp%26o%3Dmail%26v%3D3%26s%3D8245175e38ad9c6a&uid=16703>

პერსონალმა მიიღო მონაწილეობა ვებინარების სერიაში : Language and Cognitive Sciences Research Institute (2021-2022 წლები). ვებინარების მიზანი იყო მეცნიერული კვლევის განვითარების ხელშეწყობა.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის ხელმძღვანელობით 2016 წლიდან დღემდე ყოველწლიურად იმართება პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“. კონფერენციაში ერთდროულად მუშაობს რამდენიმე სექცია – მიმართულებათა შესაბამისად: 1) ენათმეცნიერება, 2) ენა და მწერალი, 3) ხელოვნებათმცოდნეობა, 4) რელიგია, 5) მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია, 6) მუსიკა და სხვა (მოხსენებათა თემატიკის გათვალისწინებით). კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ არა მხოლოდ ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორები, არამედ სხვა სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულებათა წარმომადგენლებიც (ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ ლიტერატურის უნივერსიტეტი, თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ლ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ბოტანიკის ინსტიტუტი...).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტებიც. ასევე სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები ენასთან დაკავშირებული პროექტებში: სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოების, პროზის და პოეზიის, თარგმნა (ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის სტუდენტებმა თარგმნეს ლიმერიკები და ჰაიკუ, ასევე პოეზიის და პროზის სხვა ნიმუშები) ; ენისა და გენდერის კვლევა: ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის სტუდენტებმა გამოიკვლიეს გენდერის გამომხატველი ლინგვისტურ-ექსტრალინგვისტური მახასიათებლების არსებობა / არარსებობა სხვადასხვა ენებში. კვლევა გაფართოვდება გენდერისთვის დამახასიათებელი მეტყველების მიმართულებითაც; ლიტერატურული ნაწარმოების ტექსტების გამოყენება სწავლების პროცესში: ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის სტუდენტებმა გადათარგმნეს ზღაპრების ტექსტები, რომელიც სასწავლო რესურსია სწავლების პროცესში; სტუდენტები თარგმნიან ან წერენ ლიტერატურულ ნაწარმოებს, პროზას ან პოეზიას, ასევე ქმნიან ჩანახატებს ან ჩანაწერებს და განათავსებენ უნივერსიტეტის საიტზე ბლოგებად და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო აქტივობები;
- ჩატარებული კონფერენციების პროგრამები და კრებულები;
- სტუდენტთა მიერ აკადემიური პერსონალის შეფასების ანალიზი.
- სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასების კითხვარი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მოღვაწეობის წლიური ანგარიშები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ტრენინგების შესახებ ინფორმაცია;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, პუბლიკაციების სია;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუ;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	■	□	□	□

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და საბიბლიოთეკო რესურსი როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, კომპიუტერული ცენტრები, GOOGLE საკლასო ოთახი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები, საკონფერენციო დარბაზები, სტუდენტთა საკონსულტაციო ოთახი და სხვ. ზემოთ ჩამოთვლილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის არსებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები. რესურსების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ კონკრეტულ სემესტრში მოქმედი სასწავლო კურსის მასალები ატვირთულია უნივერსიტეტის პორტალზე. საბიბლიოთეკო რესურსები მუდმივად განახლებადია.

ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია შემდეგი საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები: Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>) ,BioOne Complete (<http://www.bioone.org/>); e-Duke Journals Scholarly Collection (<https://www.dukeupress.edu/>); Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>); IMechE Journals (<https://us.sagepub.com/en-us/nam/IMEche>); New England Journal of Medicine (<http://www.nejm.org/>); Openedition Journals (<http://www.openedition.org/>); Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>); SAGE Premier (<https://us.sagepub.com/en-us/nam/sage-premier> Elsevier.

ასევე უნივერსიტეტს აქვს Ebsco-ს პაკეტი, რომელიც მოიცავს შემდეგ ქვებაზებს, მათი მოხმარება შესაძლებელია როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან ისე მის გარეთ. Regional Business News;Academic Search Elite;Business Source Elite;MasterFILE Elite;Library Information Science & Technology Abstracts (LISTA);ERIC (the Education Resource Information Center);Newspaper Source.

უნივერსიტეტში მოქმედებს ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემის კატალოგიზაციისა და ცირკულაციის მოდულები. წიგნადი ფონდი თითქმის სრულად არის ასახული კატალოგში. ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში მოქმედებს ბიბლიოთეკის უსაფრთხოების სისტემა.

GAU-ს ბიბლიოთეკის რესურსებით სარგებლობა შეუძლიათ ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და თანამშრომლებს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ გაცემული პირადი, საიდენტიფიკაციო ნომრის მქონე ბარათის მეშვეობით.

ბიბლიოთეკა მოიცავს ორ სივრცეს, ერთში განთავსებულია წიგნადი ფონდი და სამკითხველო დარბაზი, ხოლო მეორეში კომპიუტერული ცენტრი. მომხმარებლისათვის მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზების გზით მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და ადვილად გამოყენებადია საინფორმაციო რესურსები, რაც ხელს უწყობს აკადემიური პროცესების ხარისხის ზრდას და თითოეული მომხმარებლის ინტეგრაციას გლობალურ ინფორმაციულ საზოგადოებაში.

ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობის შესახებ. ასევე, სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან, თუ როგორ შეუძლიათ გამოიყენონ: სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული ცენტრი, თავისუფალი სივრცეები. ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის და პერსონალისთვის ბიბლიოთეკის რესურსებთან და სერვისებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება/კონსულტირებას. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და დებულება განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის.

შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამის სტუდენტებს აქვთ წვდომა საბიბლიოთეკო და მატერიალურ რესურსებზე. პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია ადეკვატური ფინანსური და მატერიალური რესურსები, სასწავლო პროცესის გამართული მუშაობისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რათა სტუდენტებს მიეწოდოს პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაცია და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალური/ტექნიკური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
- ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის მოხმარების წესი;
- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- უნივერსიტეტის კომპიუტერული კლასები და ლაბორატორიები;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კატალოგი და ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	■	□	□	□

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის ფინანსური გეგმა სრულ სასწავლო ციკლზეა გათვლილი. პროგრამის აკრედიტაციისთვის

გამოზავნილი დოკუმენტაციის ფარგლებში ხელმისაწვდომია ინფორმაცია სკოლის ბიუჯეტის შესახებ, რომელიც მოიცავს ჯამურ ინფორმაციას ყველა გათვალისწინებული ხარჯების და შემოსავლების შესახებ. ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და პროგრამის განხორციელებისთვის ყველა საჭირო რესურსი.

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა წარმოებს როგორც სკოლის, ისე უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის მხარდაჭერის პერიოდული და ერთჯერადი წყაროები. სკოლის ბიუჯეტში გამოყოფილია ფინანსური რესურსი კვლევითი საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციისათვის, პერსონალის განვითარებისათვის, სტუდენტთა წახალისებისათვის, მათი ექსტრაკურსული, კულტურული, შემოქმედებითი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის და სხვა აკადემიური და სამეცნიერო კვლევითი მიზნებისათვის უნივერსიტეტის, სკოლის განვითარების დინამიკის შესაბამისად. გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებაზე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა/დაბეჭდვაზე და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამის დამატებითი ფინანსური საჭიროებები შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდებით. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ ადმინისტრაცია დაინტერესებულია პროგრამის მდგრადობით. იგი ფლობს მექანიზმებს, საჭიროების შემთხვევაში პროგრამას ფინანსური დახმარება გაუწიოს უნივერსიტეტის ცენტრალიზებული ბიუჯეტიდან.

დასკვნის სახით, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები განხორციელებადია, რადგან იგი მხარდაჭერილია სკოლისა და უნივერსიტეტის მიერ და უზრუნველყოფილია მათი შემოსავლებით. პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებებს. პროგრამა ფინანსურად მომგებიანია, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აღნიშნული ხარჯები უზრუნველყოფს პროგრამის მხარდაჭერას და შესაბამისად, პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიუჯეტი
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ჩატარებული ინტერვიუები ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტი ს/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეყრდნობა სამ ძირითად ელემენტს, ესენია: **1) ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯმენტი**, რაც გულისხმობს დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების გაზომვას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ცვლილებების განხორციელებას, **2) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა**, რაც გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ინტეგრირებას უნივერსიტეტის მართვის ერთიან სისტემაში, კერძოდ სტრუქტურული, რეგულაციური და მეთოდური ელემენტების ერთობას, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციის ხარისხის უზრუნველყოფის გამართულ ფუნქციონირებას. და **3) ხარისხის კულტურა**, სადაც მოიაზრება სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართვის მზაობა.

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ოთხი ძირითადი მიმართულებით საქმიანობას:

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა;
- კვლევის და კვლევის შედეგების ხარისხის უზრუნველყოფა;
- სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება;
- სტუდენტთა მოზიდვა, პროგრესი, ჩართულობა და წარმომადგენლობა;

აღნიშნული საქმიანობის სფეროების შესაბამისად შემუშავებულია დოკუმენტები, რომლებიც ემყარება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლურ პრინციპს (PDCA cycle) - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ და გულისხმობს (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, (2) განხორციელება სასწავლო გეგმის მიხედვით; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების გათვალისწინება და პროგრამის მოდიფიცირება.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მოსამზადებლად უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, 13 წევრის ჩართულობით, რომელთაგან თითო წევრი წარადგენდა დამსაქმებელს, აკადემიურ პერსონალს და სტუდენტს (რომელიც, ინტერვიუს პროცესში გარიკვა, რომ ამავე დროს სტაჟირებას გადის უნივერსიტეტში), ხოლო დანარჩენი 10 წევრი წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულიდან. თვითშეფასების ჯგუფში ასევე შედიოდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც, როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, აქტიურად იყო ჩართული ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობით პროგრამის განვითარების პროცესში.

პროგრამის განვითარების პროცესში აქტიური ჩართულობა დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან. ისინი იცნობენ პროგრამას, მის მიზნებსა და შედეგებს, ასევე აცნობიერებენ მათი კურსის მიმართებას პროგრამის საერთო შედეგის მიღწევის პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს.

ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს დასტურდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ჩამოყალიბება თანამშრომლობით პროცესია და მისი აგებისას რეგულარულად მიმდინარეობდა დარგის პროფესიონალთა მოსაზრებების გათვალისწინება, თუმცა პროგრამაში ჩართული პერსონალი საჭიროებს აღნიშნული პროცესის მეტად გაცნობიერებას და შეფასების პროცესში მათი როლის მკვეთრად წარმოჩენას, რისთვისაც სასურველია ამ მიმართულებით მათთან უფრო ინტენსიური თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან.

ასევე, უნივერსიტეტს ლექტორთა ელექტრონულ სასწავლო ბაზაში ინტეგრირებული აქვს სტუდენტთა შეფასებების ანალიზის მექანიზმი, რომელიც აჩვენებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრები მაჩვენებლებს და მათ რანჟირებას „გაუსის ნორმალურ განაწილებასთან“ მიმართებით. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ ხდება აღნიშნული მაჩვენებლების მიერ პირველ რიგში ლექტორის მხრიდან შეფასება და საჭიროების შემთხვევაში შედეგის განხილვა პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად.

რაც შეეხება პროცესში სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, როგორცაა მაგ. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს დროს პანელზე წარმოდგენილი სტუდენტი (თვითშეფასების ჯგუფის წევრი, რომელიც ამავე დროს იმყოფება შრომით ურთიერთობაში (სტაჟირება) უნივერსიტეტთან), ასახელებს კონკრეტულ ცვლილებებს პროგრამის განვითარების პროცესში. რაც შეეხება ინტერვიუს შედეგებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შეხვედრისას, ისინი ადასტურებენ მუდმივ კომუნიკაცია უნივერსიტეტის და კერძოდ პროგრამის ადმინისტრაციასთან, თუმცა არ იცნობენ აღნიშნულ პროგრამას ამჟამინდელი სახით და არ მოუხდენიათ მისი შეფასება. როგორც კურსდამთავრებულთა მიერ აღინიშნა ისინი იღებენ საინფორმაციო ტიპის შეტყობინებებს უნივერსიტეტიდან, თუმცა არ მონაწილეობენ გამოკითხვებში. სასურველია მოხდეს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა უფრო დიდი მასშტაბით ჩართულობა უშუალოდ პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის განვითარების პროცესში დამსაქმებლის ჩართულობა დასტურდება თვითშეფასების ანგარიშიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის დროს ინტერვიუების პანელზე წარმოდგენილი დამსაქმებლები არ იყვნენ უშუალოდ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის განვითარებაში ჩართული ორგანიზაციები და მათი ამჟამინდელი გამოცდილება უკავშირდებოდა ქართული ფილოლოგიის პროგრამას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი გამოთქვამდნენ მზაობას და სურვილს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით მჭიდრო თანამშრომლობისთვის.

ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ უნივერსიტეტში დისტანციური სწავლების პერიოდში მოხდა ელექტრონული სასწავლო პლატფორმების ინტეგრირება. განხორციელდა ცვლილებები შეფასების და სწავლის მეთოდების, მაგალითად, შეფასების მეთოდებში უფრო მეტად გააქტიურდა ზეპირი შეფასების მეთოდები და ჩანაცვლდა წერიტი კომპონენტები. ასევე შეიცვალა სასწავლო პროცესის მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ამჟამად არ მიმდინარეობს/არ იგეგმება სასწავლო პროცესში დისტანციური სწავლების ელემენტების შემოტანა (იგულისხმება უცხოელი პროფესორის მიერ სხვა ქვეყნიდან სასწავლო პროცესის წარმართვა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- გამოკითხვის შედეგები (კითხვარები);
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა უფრო დიდი მასშტაბით ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დამსაქმებლის მეტად ჩართულობა უშუალოდ პროგრამის შეფასების პროცესში, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;
- სასურველია სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან უფრო ინტენსიური თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. უნივერსიტეტი ითვალისწინებს აკრედიტაციის პროცესში გაცემულ რეკომენდაციებს. გარდა ავტორიზაცია/აკრედიტაციის დროს განხორციელებული გარე შეფასებისა, უნივერსიტეტი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო დარგის ექსპერტებთან პროგრამის შესაფასებლად.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის შეფასება განხორციელდა დარგის ორი ადგილობრივი ექსპერტის მიერ. არცერთი შემფასებელი არ იყო შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი, არ წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს და გააჩნდათ შესაბამისი დარგობრივი

კომპეტენციები. ორივე შემფასებელი აღნიშნავს, რომ პროგრამა არის აქტუალური, საინტერესო და წარმოდგენილი სასწავლო კურსები პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს. შეფასებებში ასევე გვხვდება რჩევები, რომლების შესაბამისად უნივერსიტეტს უკვე აქვს გადადგმული ქმედითი ნაბიჯები. მაგალითად, ექსპერტის მიერ შეთავაზებულია ლექტორების დატრენინგება შეფასების სისტემასთან მიმართებაში და აღნიშნული ტრენინგი უკვე დაგეგმილია უნივერსიტეტის მხრიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა;
- პროგრამის გარე შეფასება;
- ინტერვიუების შედეგები;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	■	□	□	□

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, „შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ ფარგლებში. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით განისაზღვრება პროგრამის ინიცირების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის და პერიოდული შეფასებების პროცედურები. თითოეული პროგრამისთვის იქმნება პროგრამის სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის მიერ განსაზღვრული შედეგების მიღწევის შეფასება/ანალიზზე. შესაბამისად პერიოდულად ტარდება პროგრამის შედეგების შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით. შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს - სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებას შუალედური და დასკვნითი შეფასებებით. შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს - როგორც სტუდენტების, ასევე სხვა დაინტერესებული პირების დამოკიდებულების შესწავლას, რომლისთვისაც განსაზღვრულია შემდეგი შეფასების ფორმები: კითხვარები, ბაზრის კვლევა, ფოკუს ჯგუფები და სხვა. პროგრამი შეფასების კრიტერიუმების დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასებების პერიოდულობაც. როგორც ირკვევა სწავლის შედეგების შეფასება ხდება ყოველსემესტრულად დაგროვილი ინფორმაციით და შემდგომ ამ ინფორმაციის საბოლოოდ თავმოყრის გზით, კიდევ ერთხელ ხორციელდება შემაჯამებელი შეფასება. ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას. მასში ასევე წარმოდგენილია სამიზნე ნიშნულები და შეფასების კონკრეტული მეთოდები, რომელთა მიხედვითაც ხდება კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევა.

თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტაციაში უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს გამოკითხვის ფორმები (კითხვარები) და ასევე მისი შედეგების ანალიზი.

დამსაქმებელთა ჩართულობის მაჩვენებლად, უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი, რომელიც არ არის ფოკუსირებული პროგრამის სპეციფიკაზე და უფრო მეტად წარმოაჩენს ზოგადად ქართული დასაქმების ბაზრის ტენდენციებსა და ამჟამინდელ მდგომარეობას (აღნიშნული საკითხის განხილვა იხილეთ 1..2 ქვესტანდარტში). დამსაქმებელთა ჩართულობის დადასტურება მოხდა მხოლოდ თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, რადგან ინტერვიუს დროს წარმოდგენილი ორგანიზაციებს არ გააჩნდათ გამოცდილება აღნიშნული კონკრეტული პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობაზე.

როგორც ინტერვიუებიდან დასტურდება პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების მიზნით უნივერსიტეტი იყენებს პროგრამის შედარებას უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. თვითშეფასების დოკუმენტაციაში და ასევე დამატებით გამოთხოვის შემდგომ უნივერსიტეტის მხრიდან მოხდა საერთაშორისო უნივერსიტეტების ჩამონათვალილს წარმოდგენა, რომელთა განხილვაც მიმდინარეობდა, თუმცა აღნიშნული განხილვისა და ანალიზის დოკუმენტის წარმოდგენა ვერ მოხერხდა. სასურველია მსგავსი შედარების დროს უფრო მეტად და სიღრმისეულად მოხდეს პროგრამების შედარება და ანალიზი, პროგრამის განვითარების მაქსიმალური ხელშეწყობისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- კითხვარების შედეგები;
- ბაზრის კვლევის დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია ანალაგიურ პროგრამებთან შედარების დროს უფრო მეტად და სიღრმისეულად მოხდეს პროგრამების შედარება და ანალიზი, პროგრამის განვითარების მაქსიმალური ხელშეწყობისათვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო ჯოჯუა



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების
სახელი, გვარი, ხელმოწერა სოფიო თოთიბაძე

ს. თითიაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა: სოფიო ბაზაძე

ს. ბაზაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: სოფიკო გრიტიშვილი

ს. გრიტიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თამთა ლეკვიშვილი

თ. ლეკვიშვილი